# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 6 აპრილი, 2011 წელი.

№63 (6675)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




ირაკლი ალასანია:

## პირდაპირ ვუთხარი დასავლელ პარტნიორებს, რომ საქართველოსთან ყურში ჩურჩული არაფრის მომტანია

②

## რევოლუციურ-სამიტინგო ტრობით შეიძლება კადაფიზმის ამა თუ იმ ფორმისთვის გავწიროთ ჩვენი უახლოესი მომავალი



ზაზა ფირალიშვილი

③

## ოპოზიციური „რვიანი" ხელის-უფლებასთან მოლაპარაკებას აგრძელებს

②

## დაზღვევა მქიმთან ვიზიტამდე 5 წუთით ადრე

②

„ალდაგი ბისიაის" ახალი პროექტი

## SOS!

## ბათუმის პორტში რადიაცია გამოვლინდა

②










## მექანიკური მოქალაქეები

⑥



## ფუკუსიმას გვერდის ავლით...

④

## რუსები აფხაზეთში მიწებს იტაცებენ?



⑧

## როგორ „აკურთხა" წმინდა მატრონამ სტალინი



СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

⑨

ჩვენი კარაბადინი



## როგორ ვენდე ჩინურ მედიცინას

⑪

მე გადამარჩინეს გოჭმა, ნემსების გროვამ და გამხმარმა ქრიზანთემამ

◎ დღის თემა

**ინტერვიუ დასავლეთიდან დაბრუნებულ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერ ირაკლი ალასანიასთან.**



# „პირდაპირ ვუთხარი დასავლელ პარტნიორებს, რომ სააკაშვილთან ყურში ჩურჩული არაფრის მომტანია“

**— რა მთავარი მესიჯები გაჟღერდა საქართველოს შიდაპოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით თქვენს მიერ ბრიუსელში დასავლეთის მაღალი რანგის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებზე?**

— პირველ რიგში, ვიტყვი, რომ ჩემს აქ არყოფნაში საარჩევნო გარემოს შეცვლის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესის შესახებ მრავალი შეფასებები გაისმოდა. მოლაპარაკებების სუფლება პოლიტიკური გზით შეცვალა. ევროპის, ამერიკის და ყველა სხვა ჩვენი პარტნიორის აქცენტი გადატანილია სწორედ საქართველოზე და უფრო ფართოდ — რეგიონში საარჩევნო გარემოს ცვლილებაზე, როგორც დემოკრატიულობისკენ ნაბიჯების გადადგმის მთავარ საშუალებაზე. აქედან გამომდინარე, მთავარი ჩვენთვის — ოპოზიციისა და საზოგადოებისთვის ის არის, რომ პოლიტიკური წინდახედულობა და მტკიცე ნება გამოვავლინოთ, რათა ეს პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანოთ. შეთანხმებულები ვართ, მაისის ბოლოს საზოგადოებას ჩვენი პოზიცია წარვუდგინოთ. დიდი იმედი მაქვს, რომ პოლიტიკური გონიერება ორივე მხარეს — ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც აღმოაჩნდება.

შირებით მათი პოზიცია უფრო ღია და დეკლარაციული უნდა იყოს. მე პირდაპირ ვუთხარი დასავლელ პარტნიორებს, რომ სააკაშვილთან ყურში ჩურჩული არაფრის მომტანია. დადგა დრო, ღიად და დეკლარირებულად ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. რომ ეს გახდება სწორედ იმის საფუძველი, რომ ცვლილებები განხორციელდეს. ბრიუსელის შეხვედრებზე ამ საკითხში თანხმობა მივიღე. ჩვენ, ქართულ საზოგადოებას გვაქვს შანსი, საკუთარ თავსაც და დასავლელ პარტნიორებსაც დავუდასტუროთ, რომ ცვლილების განხორციელება ძალადობის და ერთმანეთისთვის ტყვიის სროლის გარეშე შეგვიძლია. სწორედ ეს გამოგვარჩევს იმ რეგიონისგან, სადაც დღეს საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს. საქართველომ ეს ეტაპი 1990-იანი წლების დასაწყისში გაიარა და იმ პერიოდში მიბრუნება აღარ გვსურს. ამიტომაც მგონია, რომ მიმდინარე მოლაპარაკებები ყველაზე დიდი მორალური პასუხისმგებლობაა, რომელიც სააკაშვილსაც და ოპოზიციურ ძალებსაც ეკისრებათ.

პროცესი პირველ სერიოზულ წინაღობას ბოლო 10 დღის განმავლობაში წააწყდა, მაგრამ დიალოგის რესურსი ამოწურული არ არის. ველოდებოდით კიდევაც, რომ პროცესში წინაღობები იქნებოდა. როდესაც ასეთი შეფერხებებია, მგონია, რომ ორივე მხარეს აღმოაჩნდება ისეთი წინდახედულობა და ძალა, რომელიც პოზიციების დაახლოებისკენ ნაბიჯების გადადგმას დაგვაწყებინებს.

რაც შეეხება ბრიუსელის ფორუმს, ამერიკის და ევროპის ლიდერების პოზიცია საარჩევნო გარემოს ცვლილებასთან დაკავშირებით ერთსულოვანია: ეს არის ის გამოცდა, რომელსაც დღეს ქართული საზოგადოება გადის და ამ გამოცდის შედეგად საქართველო ან ევროპასთან დაახლოების გზით წავა, ან ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე მოვლენებისკენ. ჩრდილოეთ აფრიკაში საზოგადოებას ადვილი შესაძლებლობა ჰქონდა, საკუთარი ხელი-

**— ვიზიტის ფარგლებში მაღალი რანგის დასავლელ დიპლომატებთან პირადი შეხვედრები გქონდათ. რა რეკომენდაციები მიიღეთ ამ შეხვედრებზე?**

— რეკომენდაციები ამერიკელ და ევროპელ პოლიტიკოსებს აქეთ მივეცი იმაზე დაყრდნობით, თუ რა რეალობაა შექმნილი საქართველოში. მგონია, რომ საარჩევნო გარემოს ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკებებთან დაკავ-

**— თქვენი ინფორმაციით, დასავლელი დიპლომატები მიხეილ სააკაშვილს ქვეყანაში საარჩევნო გარემოს შეცვლის აუცილებლობაზე ყურში ჩურჩულით ესაუბრებიან. მაშინ რატომ ინარჩუნებს ხელისუფლება საკუთარ პოზიციას?**

— მოლაპარაკებების პროცესიდან ორივე მხარეს მაქსიმუმის მიღწევა სურს. ასეთი მაქსიმალისტური მიდგომა ყველა მოლაპარაკების თანამდევია, განსაკუთრებით — საქართველოში, სადაც ბუნებით მაქსიმალისტები ვართ. თუმცა მგონი, ყველამ დავინახეთ, რომ ერთმანეთის მისამართით კომპრომისული ნაბიჯების გადადგმა მოგვიწევს.

**— მოლაპარაკებათა პროცესთან დაკავშირებით თქვენი საქართველოში არყოფნის პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა...**

— მართალია. ხალხი სახლში მარტო არ უნდა დატოვო, დიდხანს არ უნდა წახვიდე...

**— თქვენს აქ არყოფნაში ექსპერტებში გაჩნდა ვარაუდი „რვიანის“ შესაძლო დაშლის, კერძოდ, მისი ზოგიერთი წევრი პოლიტიკური ძალის ე.წ. „რადიკალების“ ფლანგში გადანაცვლების თაობაზე. არის თუ არა „რვიანი“ ყველა საკითხში ერთ პოზიციაზე?**

— აქამდე ასე იყო. ყოველთვის ერთიანი აზრი გვქონდა.

**— მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ „რვიანი“ საარჩევნო პროცესის მიტოვებაში დაადანაშაულა, საუბარი დაიწყო ალტერნატიული „რვიანის“ შექმნაზე, რომელშიც არსებული „რვიანის“ მიღმა საარჩევნო გარემოზე მომუშავე სხვა ოპოზიციური პარტიები უნდა გაერთიანდნენ. თუ ასე მოხდა და მოლაპარაკებები „რვიანის“ გარეშე გაგრძელდა, რას მოიმოქმედებს „რვიანი“?**

— წარმატებას ვუსურვებთ მათ, ვისაც სურს, ალტერნატიული პროცესი შექმნას. თუმცა ვფიქრობ, ეს იმდენად კომიკური იდეაა, იმედია, სერიოზულად არ გიკითხავთ. პირდაპირ გეტყვით, რომ „რვიანის“ გარეშე მოლაპარაკებების პროცესი ვერ დასრულდება, — ეს გამორიცხულია. ასევე გამორიცხულია არჩევნების ჩატარება, თუ ჩვენ თვისობრივად ახალ საარჩევნო გარემოზე არ შევთანხმდებით. მგონია, რომ ალტერნატიული „რვიანის“ შექმნის ინიციატორებისთვისაც კარგი იქნება, პროცესებს დაელოდონ, რადგან სამართლიან საარჩევნო გარემოს მათთვისაც ვქმნით.

იხ. 5 გვ.

◎ ინფორმაცია

## გამოეხმაურნენ ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებას

**პრეზიდენტის პრესსპიკერ მანანა მანჯგალაძის განცხადებით, ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სასამართლომ საქართველოს მთავარი არგუმენტი გაითვალისწინა.**

**„იურიდიულად დადასტურდა, რომ რუსეთის ფედერაცია არის ამ კონფლიქტში მონაწილე მხარე და არა რომელიმე მესამე მხარე, რომლის დამტკიცებასაც რუსეთი დაჟინებით ცდილობდა წლების განმავლობაში. დავა რუსეთის მხრიდან განხორციელებულ ეთნიკური წმენდის საკითხებზეც მიმდინარეობს. იცით, რომ სწორედ ეთნიკური წმენდა წარმოადგენდა წლების განმავლობაში საქართველოს დავის საკითხს; საერთაშორისო სამართლის კუთხით მთავარია, რომ საბოლოოდ ლეგიტიმაცია შეიძინა ჩვენმა მოთხოვნამ, რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს საქართველოსთან დავაში კონფლიქტის მხარეს და ეს ძალა არის სწორედ ეთნიკური წმენდის საკითხებზე, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე.**

## ბათუმის პორტში რადიაცია გამოვლინდა

**ალნიშნულის გამო ნავსადგურის მუშაობა შეჩერებულია.**

**პორტთან მისასვლელი ყველა გზა გადაკეტილია. ნავსადგურის თანამშრომლების სრულად ევაკუაცია უკვე მოხდა. ადგილზე საგანგებო სიტუაციათა სამსახურები მუშაობენ.**

**ბათუმში რადიოაქტიური ნარჩენები გვიან ღამით, ჯართით დატვირთულ სარკინიგზო ვაგონში აღმოაჩინეს. რა ტიპის და რა მოცულობის ნივთიერებაზეა საუბარი, ჯერჯერობით არ ხმაურდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ბრძოლა საარჩევნო სისტემისთვის

## ოპოზიციური „რვიანი“ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აგრძელებს

**10 წელზე მეტია ხელისუფლება არ ერიდება არჩევნების გაყალბებას, პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებისა და წრეგადასული გამდიდრების მიზნით. ამის მაგალითი საქართველოს პარლამენტია, სადაც კანონის „კეთების“ ნაცვლად საპარლამენტო უმრავლესობა ფულის კეთებით არის დაკავებული. არჩევნების გაყალბებამ საქართველოში უკურნებელი სენის სახე მიიღო.**

დღეს ოპოზიციური „რვიანის“ წინა პირობაა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. მამუკა კაციტაძის განცხადებით, პირველ ეტაპზე განიხილება ამომრჩეველთა სიების ფორმირება და საარჩევნო სისტემა. შეთანხმების მისაღწევად „რვიანმა“ წარმოადგინა ნიუანსები: შედგეს ერთიანი სია, გაიცეს პირადობის მოწმობა მოქალაქეთა ბიომეტრიული მონაცემების საფუძველზე.

ოპოზიციამ პარლამენტში დამატებით წარმოადგინა საარჩევნო სისტემის ორი მოდელი:

პარლამენტის ნახევარი აირჩევა ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში პარტიების მიერ, წარდგენილი კანდიდატებიდან 50-პროცენტიანი ბარიერით, მეორე ნახევარი კი — პროპორციული სისტემით, ერთიანი პარტიული სიებით აირჩევა. პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა განისაზღვრება მათთვის პროპორციული არჩევნებში მიცემული ხმების მიხედვით. მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული ყველა კანდიდატი მიიღებს მანდატს;

პარლამენტის 2/3 აირჩევა პროპორციული სისტემით, ხოლო 1/3 — ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, 50-პროცენტიანი ბარიერით.

მამუკა კაციტაძის თქმით, მოლაპარაკება ხელისუფლებასთან არ დასრულებულა.

**ირინა ოზოლაშვილი**

◎ პროტესტი

## უკანონო მშენებლობა სკვერში

**საქართველოს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარემ გია გაჩეჩილაძემ აქცია-ბრიფინგი გამართა ჭავჭავაძის №50-ის გვერდით, სკვერში, სადაც დაწყებულია ოფისის უკანონო მშენებლობა. ამის გამო მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს. მათ არ სურთ სკვერში მშენებლობის დაწყება, ვინაიდან იქ ბავშვები თამაშობენ.**

მშენებლობის შედეგად ხეები გაიჩეხება, რაც სკვერის ტერიტორიის საკმაოდ დიდ ნაწილს მოიცავს. ამასთან დაკავშირებით შეტანილია განაცხადი და, პრობლემის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, მოსახლეობა აპირებს, სასამართლოს მიმართოს.

სკვერი ოფიციალურად შარშან, არჩევნების პერიოდში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გახსნა და ახლა უკანონო მშენებლობას აპირებენ, — განაცხადა გაჩეჩილაძემ. მისი თქმით, მშენებლობა იჭრება სკვერის ტერიტორიაზე, სადაც საშუალოდ 8-9 კორპუსის მოსახლეობა იყრის თავს.

**ნათია კახაძე**

◎ აუთვისებელი ბაზარი

# დაზღვევა ექიმთან ვიზიტამდე 5 წუთით ადრე

## „ალდაგი ბისიაის“ ახალი პროექტი

**მათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ არის დაზღვეული, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“ საკმაოდ ამბიციურ და აგრესიულ პროექტს ახორციელებს. როგორც კომპანიის ხელმძღვანელი ნიკა გამყრელიძე ამბობს, სადაზღვევო ბაზარი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და შესაბამისად, აუთვისებელი, ამიტომ ყოველი ინიციატივა ყურადსაღებია.**

თუ რას ითვალისწინებს ახალი შემოთავაზება, ამის შესახებ გუშინ „თბილისი-მარიოტში“ გამართულ ბრიფინგზე „ალდაგი ბისიაის“ გენერალურმა დირექტორმა ისაუბრა. მისი თქმით, 2011 წლის განმავლობაში კომპანია რამდენიმე უნიკალური პროექტის გამოშვებას გეგმავს: **„აქამდე მოსახლეობას უფლება არ ჰქონდა, დაზღვევა ეყიდა მაშინ, როცა ის დასჭირდებოდა. ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ, როგორ უნდა გამხდარიყო დაზღვევა ხელმისაწვდომი და სასურველი მოსახლეობისთვის. პირველად საქართველოში „ალდაგი ბისიაიმ“ შექმნა პროდუქტი, რომლის შეძენაც შესაძლებელია სამედიცინო მომსახურების მიღებამდე 5 წუთით ადრე, ასაკის შეუზღუდავად“,** — აღნიშნა ნიკა გამყრელიძემ.

დაზღვევა საინტერესოა იმ კუთხით, რომ ამიერიდან კომპანიის აგენტები ნებისმიერ ფიზიკურ პირს შესთავაზებენ, გაწევრდნენ „ალდაგი ბისიაში“, მაგრამ დაზღვევის ერთწლიანი პაკეტის თანხას — 99 ლარს გადაიხდიან იმ შემთხვევაში, როცა დაუდგებათ ექიმთან ვიზიტის, ან სამედიცინო მომსახურების აუცილებლობა.

თანხის გადახდისთანავე დაზღვეულს შეუძლია მიიღოს 50 ლარის სამედიცინო მომსახურება, ხოლო პოლისის ფლობის მთელი წლის განმავლობაში ისარგებლებს 50-პროცენტიანი თანადაფინანსებით. ეს შეეხება ამბულატორიულ სერვისებს, ხოლო გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება დაუფინანსდებათ 2,500 ლარის ოდენობით.



რაც შეეხება ჰოსპიტალურ მომსახურებას, ამ შემთხვევაში ბენეფიციარი შეზღუდული არ არის და პოლისი შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში. ხოლო ამბულატორიულ მომსახურებას გაუწევენ „ჩემი ოჯახის კლინიკის“ ფილიალებში.

**„თვეში 8 ლარი, ალბათ, არ არის დიდი თანხა ჯანმრთელობისთვის, — აღნიშნა ნიკა გამყრელიძემ, — მაგრამ ადამიანებს ხშირად უჭირთ საკუთარი რისკის შეფასება და მით უმეტეს წინასწარ ფულის გადახდა. თუმცა იხდიან ფულს სამედიცინო დანახარჯებში, რომელიც დამერწმუნებით, რომ ძალიან მაღალია საქართველოში. ამიტომ ჩვენ ერთგვარად შევცვალეთ კონცეფცია და მომხმარებელს საშუალება მივეცით, ზუსტად მაშინ იყიდოს დაზღვევა, როცა მას ეს სჭირდება. ვფიქრობთ, რომ ეს ერთგვარი რევოლუციური ნაბიჯი შედეგს გამოიღებს და ქვეყანაში დაზღვეულთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება“.** ჯერჯერობით „ალდაგი ბისიაის“ დაზღვეულებს მხოლოდ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გაუწევენ სამედიცინო მომსახურებას. ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ამ ქალაქებში შეუძლია დაზღვევის ადეკვატური მომსახურება.

**„ალდაგი ბისიაში“ მხოლოდ 3 ათასი ფიზიკური პირია დაზღვეული, მაგრამ ამ პროექტის შემდეგ დაახლოებით 15-20 ათასი ადამიანის დაზღვევას ვარაუდობენ. „ჩვენი მომდევნო პროექტი კიდევ უფრო გამარტივებული იქნება და ის ბესტსელერი გახდება“, — გვპირდება ნიკა გამყრელიძე, რომელმაც ახალი სადაზღვევო პაკეტი 2-3 თვეში უნდა წარმოადგინოს.**

ნია ფიფია

◉ განსჯა



*დამოუკიდებლობის 20-წლიანი ისტორიის შედეგებზე, შეცდომებსა და გამოწვევებზე „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა.*

# რევოლუციურ-სამიტინგო თრობით შეიძლება კადაფიზმის ამა თუ იმ ფორმისთვის გავწიროთ ჩვენი უახლოესი მომავალი

**— ბატონო ზაზა, 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა. ცხადია, ორი ათეული წელი ისტორიისთვის დიდი დრო არ არის, მაგრამ კარგი საბაბია ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში გარკვეული შედეგების შესაჯამებლად. დავიწყოთ დამოუკიდებლობის 20-წლიანი ისტორიის შედეგებისა და მიღწევების შეჯამებით...**

— მთავარი მოხდა: ჩვენმა ქვეყანამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა და, არ გაგიკვირდეთ ამგვარი განცხადება, ასე თუ ისე, შეეგუა კიდეც მას. თავისუფლება ხომ ყველაზე ძნელი შესაგუებელი რამ არის. დაახლოებით ოცი წლისაა ის პირველი თაობა, ვინც უკვე თავისუფალ ქვეყანაში დაიბადა და ჩვენგან განსხვავებული წანამძღვრებით დაიწყო ცხოვრება. ათასგზის უარესი სოციალური მდგომარეობაც რომ იყოს, ეს მონაპოვარი ყველაფერს გადაწონის. გასული საუკუნის 70-იან წლებში ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ საბჭოთა კავშირი, ეს უზარმაზარი, სამხედრო ძალითა და უშიშროების სისტემით შეკრული ქვეყანა დაიშლებოდა.

თავისუფლებასთან შეგუება ვახსენე. 90-იანი წლების დასაწყისში ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ დამოუკიდებლობა საკუთარი თავის არც ისე მომხიბლავ რაობას დაგვანახებდა. ჩვენ მოგვიწია ბანალური გარემოების აღმოჩენა — საკუთარი თავისუფლების მტერი, უწინარესად, თავადვე ვართ და მხოლოდ მეორე რიგისაა გარეგანი მტერი.

მერაბ მამარდაშვილი რუსულ საზოგადოებაზე ხშირად ამბობდა, რომ საკუთარი ისტორიიდან გამოცდილებას ვერ იძენს, მარადიულად ერთსა და იმავე შეცდომების წრეშია ჩაკეტილი, ერთსა და იმავე ისტორიულ კონფიგურაციაში მოძრაობს. დღეს იქ კომუნისტური გლობალიზმის იდეა, უბრალოდ, მართლმადიდებელი გლობალიზმის იდეით ჩანაცვლდა და ჩვენც იქ გვეპატიჟებიან. ერთი ილუზია შეცვალა მეორემ. დანაშაულის გრძნობაც კი არ გასჩენიათ ყოველივე იმის გამო, რაც ჩაიდინეს და, როგორც მრავალი განცხადებიდან ჩანს, მათგან კიდევ უნდა ველოდეთ ახალ სისხლიან ისტორიულ ექსპერიმენტებს.

არ ვიცი, შეიძლება მეჩვენება და ასე მგონია, რომ ჩვენ რაღაც მაინც ვისწავლეთ. თუნდაც ის, რომ მარგინალ ექსტრემისტთა გემოვნებაზე არ უნდა ავაგოთ ჩვენი ცხოვრება. ცხადია, ეს ცოდნა ჯერაც იოლად მოწყვლადია და ჯერაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მას გაცილებით მეტი ადამიანი ატარებს, ვიდრე სულ რამდენიმე ხნის წინათ. ჯერაც ძლიერია აზროვნების ის მახინჯი ფორმები, რომლებიც საბჭოთა ეპოქიდან გადმოგვყვა და ძალზე ხშირად სასოწარკვეთამდეც მივყავართ.

ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში გაბატონებულ რევოლუციურ რომანტიზმს ხომ სწორედ საკუთარი თავის გამო სასოწარკვეთა აჩენს, როდესაც ვხედავთ, თუ როგორ თრგუნავენ საღ აზრს საიდანღაც გაჩენილი ქიმერები, რომ გამოსავალი მხოლოდ ყველაფრის დანგრევა და ხელახლა აშენებაა. არადა, ასე მხოლოდ ახალი ქიმერები იბადებიან. მიუხედავად ამისა, მგონია, რომ დღეს ჩვენ გვაქვს ნება, ამ მდგომარეობას დავაღწიოთ თავი და ამ ნებას სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი გამოხატავს. დღევანდელი დუღილი — მიუხედავად მთელი მისი სიმძიმისა, მიუხედავად იმისა, რომ ათასობით ადამიანს სასოწარკვეთად და ტკივილად უჯდება, სწორედ ამგვარი გათავისუფლების პროცესია. სხვა გამოსავალი კვლავ მონობაში მიბრუნება იქნებოდა.

ხომ გვპირდებიან კიდეც ჩრდილოელი მეზობლები უზრუნველყოფილ მონობას და მათი დაპირებები მაცთურად აისახა კითხვაში, რომელიც ხანგამოშვებით წამოტივტივდება ხოლმე, - რა მოგვიტანა თავისუფლებამ? თავისუფლება სხვას ვერაფერს მოგიტანს, გარდა თავისუფლებისა, გარდა ღირსებისა, რომ შენ თავად შექმნა საკუთარი არსებობა და მართო შენი ბედი. ჩრდილოეთსაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენშიც ძალზე ბევრია იმის მსურველი, რომ ახალი, ლიბერალური, რელიგიური თუ ეთნოგრაფიული ტერმინებით კომუფლირებულ მონობაში შეგვიტყუოს. და მაინც, ჩვენი, როგორც პიროვნებებისა და მთელი საზოგადოების გათავისუფლების პროცესი დაიწყო და მისი შეჩერება მხოლოდ თავად შეგვიძლია, თუკი გონებისა და ზნეობის კანონებს ვუღალატებთ და კვლავ ირაციონალური ემოციების ტყვეობაში აღმოვჩნდებით.

**— თუ რა მიღწევები გვაქვს, გავარკვიეთ. დაშვებულ შეცდომებზე რას იტყვით?**

— მხოლოდ ზოგადს შევეხები. ჩვენი მთავარი შეცდომა ამ წლების განმავლობაში ალბათ იმის იმედი იყო, რომ ამ ქვეყანაში ჩვენ გარეშე რაიმე შეიძლება მოხდეს, ჩვენი ბედი ვინმეს შეიძლება გადავაბაროთ — მნიშვნელობა არა აქვს, შინაურს თუ გარეულს და ეს მერე სანანებელი არ გაგვიხდება. კიდევ ერთი შეცდომაა ექსტრემისტული განწყობილებების სიყვარული. ექსტრემიზმი ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს, მაგრამ ქვეყანა და საზოგადოება შედგება და არსებობს მაშინ, თუ ექსტრემიზმი პერიფერიაზე განიდევნება და საზოგადოება რაციონალური დისკუსიის რეჟიმში შეძლებს გადასვლას. დემოკრატიას მე განვმარტავდი სწორედ როგორც რაციონალური დისკუსიის რეჟიმის შექმნის უნარს.

**— თქვენი აზრით, ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით, ახლა ქვეყნის წინაშე რა გამოწვევები დგას?**

— მთავარი ამოცანა ჩემთვის ის არის, რომ როგორმე მივაღწიოთ თითქოს და ბანალურ და თავისთავად ცხად რამეს: საკუთარი საარსებო გარემოს შექმნისთვის თანამშრომლობას. დღეს ჩვენ სწორედ ეს არ შეგვიძლია. წეღან დემოკრატია განვმარტე, როგორც სადისკუსიო სივრცის შექმნის უნარი. ამას დავუმატებდი თანამშრომლობის უნარსაც. გადავხედოთ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს და დავრწმუნდებით, რამდენი თავკერძობა და თავნებობაა და როგორი დეფიციტია თანამშრომლობისა. თითქმის ყოველ ცალკეულ სუბიექტს ნებისმიერ დონეზე არაფრის გაკეთება არ უნდა, ვიდრე ვითარებები ისე არ დალაგდება, მის პირად წარმატებას რომ უზრუნველყოფენ. უამისოდ მოვიწყენთ და განზე გავდგებით-ხოლმე. ერთად ყოფნის სიხარულს ლამის მხოლოდ სუფრა ან მიტინგი გვანიჭებს და არა — ერთად შრომა და ერთობლივი ძალისხმევა.

**— შესაძლოა, ვცდებოდე, მაგრამ მაინც მგონია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ქართულ საზოგადოებაში დასავლეთისა და დასავლური ინსტიტუტებისადმი რწმენა გადაჭარბებულად დიდი იყო. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კი საზოგადოებამ დაცულობის გრძნობა დაკარგა...**

— ესეც ვასალური დამოკიდებულების შედეგია. გგონია, რომ შეიძლება, შენი საქმე ვინმე სხვამ გააკეთოს. ესეც ერთ-ერთი ილუზია იყო, რომლისგანაც ტკივილით, მაგრამ მაინც ვთავისუფლდებით. დასავლეთი ჩვენთვის ინსტრუმენტიც უნდა იყოს საიმისოდ, რომ საკუთარი ცხოვრება მოვაწესრიგოთ და ფეხზე დავდგეთ და არა მხოლოდ იმედებისა და მისწრაფებების საგანი. ამას შეიძლება საქმიანი ეგოიზმი უნდა უწოდო ადამიანმა. ის ექსტრემისტული ვესტერნიზმი, რომელსაც დღეს მრავალი ვინმე გვთავაზობს, სხვა არაფერია, თუ არა ვასალური დამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმა. აღარაფერს ვიტყვი იმ შემთხვევაზე, როდესაც დასავლეთისაკენ მისწრაფება ზოგის პირიდან, უმალ ისტორიულ კაპიტულაციას ემსგავსება, ვიდრე — საკუთარი ღირსების დაბრუნებას. არადა, პირიქით უნდა იყოს. დასავლეთს ჩვენ პარტნიორებად ვესაჭიროებით და არა — ვასალებად, როგორც ჩვენს ჩრდილოელ „ძმებს“. განსხვავება არსებითია; ჩვენი არჩევანით უნდა დავადასტუროთ, რომ თავისუფალი საზოგადოება ვართ და არა ვიღაცის სხეულზე მიწებებული პარაზიტები. დღევანდელი დღე ჩვენთვის დიდი და მნიშვნელოვანი შანსია.

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

## ოპოზიციას შიდა რესურსები ამოეწურა



**გეოპოლიტიკური** კვლევის ცენტრის ექსპერტ გია ვოლსკის აზრით, ვერც რადიკალური და ვერც კონსტრუქციული ოპოზიცია ხელისუფლებასთან ბრძოლაში მიზანს ვერ მიაღწევს.

— ვერც რადიკალური და ვერც კონსტრუქციული ოპოზიცია ვერ მიაღწევს წარმატებას, თუკი ამ პროცესში არ იქნება საერთაშორისო საზოგადოების ჩართული. ამ სიტუაციას სჭირდება ყბადაღებული სიტყვა „შეშფოთება“... საკმარისია საერთაშორისო საზოგადოებამ შექმნილი ვითარების მიმართ შეშფოთება გამოხატოს, რომ ეს გზას გაუხსნის სიტუაციის დარეგულირებას. მიმაჩნია, რომ როგორც რადიკალებს, ასევე კონსტრუქციულ ოპოზიციას შიდა რესურსი, ფაქტობრივად, ამოწურული აქვს, - ამბობს გია ვოლსკი რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში.

აღნიშნულ კონტექსტში, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ე.წ. რადიკალური ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ოპოზიციური „რვიანის“ მოთხოვნასთან, რომელიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას უკავშირდება.

— თუმცა ამ მიმართულებით რადიკალურ ოპოზიციას არასწორი გზა აქვს არჩეული, — აცხადებს გია ვოლსკი.

## რუსეთს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მიიღებენ

**რუსეთს** იმედი აქვს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მიმდინარე წლის ზაფხულ-შემოდგომაზე გაწევრდება. განცხადება ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

მისივე თქმით, „2010 წელი გახდა გადამწყვეტი მოლაპარაკებებში, რომლებიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებას ეხება და ჩვენ ველით, რომ ამ ორგანიზაციაში მიმდინარე წლის ზაფხულში ან შემოდგომაზე მიგვიღებენ. ეს ვადები სავსებით რეალისტურია, რამდენადაც ჩვენ შექმნილი მდგომარეობა გვესმის, — აცხადებს ივანოვი.



მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრება სურს, მას ასევე კარგად ესმის თავისი ეკონომიკის პლიუსებიც და მინუსებიც, რომელიც ამას თან მოყვება.

— ჩვენი ეკონომიკის ძლიერი სექტორები, რა თქმა უნდა, ამ გაწევრებით მოიგებენ, მაგრამ ნაკლებად კონკურენტუნარიანი დარგები — მანქანათამშენებლობა, საავტომობილო დარგები და სხვა სფეროები დაზარალდებიან, — აცხადებს ივანოვი.

ეხება რა საქართველოს საკითხს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებასთან დაკავშირებით, სერგეი ივანოვი აღნიშნავს, რომ „ამ პრობლემებს არ აქვთ არავითარი უშუალო დამოკიდებულება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან, ვაჭრობასთან, უსაფრთხოებასთან და სხვა მსგავს საკითხებთან„.

— ამ პრობლემის არსი პოლიტიკურია და ჩვენ თავად გვსურს მისი გადაწყვეტა, — აცხადებს ივანოვი და აღნიშნავს, რომ ასევე აშშ-სა და რუსეთის ინტერესებში არის ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმება — აღნიშნული აკრძალვა იმ დროს დაწესდა, როდესაც მე ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი. რუსეთს ამჟამად კი აქვს თავისუფალი სავიზო რეჟიმი ისრაელთან და ცდილობს, მიიღოს ასეთივე რეჟიმი აშშ-სთან ურთიერთობაში. თუმცა ეს შესწორება ჯერ კიდევ მოქმედებს, — აცხადებს ივანოვი.

## წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები შსს-ს ბიუჯეტს „ავსებენ“

**შინაგან** საქმეთა სამინისტრომ უზენაესი სასამართლოს წინ ორშაბათს საპროტესტო აქციის დროს წინააღმდეგობის მოძრაობის წევრების დაკავებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

განცხადების მიხედვით, თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ირაკლი ციკოლია, გოჩა ჩხაიძე, გრიგორ ხარებავა, გენადი კეკელია, დავით კოჩიევი, თენგიზ ღლონტი, მადონა გოგუა, ადა მარშანია, ქეთევან გოგინაშვილი და შოთა გლურჯიძე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის საფუძველზე დააკავეს.

— ზემოთ ჩამოთვლილმა პირებმა გადაკეტეს ძმები ზუბალაშვილების ქუჩა, რის შედეგადაც შეფერხდა ავტოტრანსპორტის მოძრაობა. ისინი არ დაემორჩილნენ სამართალდამაცავების კანონიერ მოთხოვნას სავალი გზის განთავისუფლების შესახებ და კვერცხები ესროლეს აღნიშნულ ქუჩაზე მდებარე უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული შენობის ფასადს, —აღნიშნულია განცხადებაში.




ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტაციულ საქმეთა კოლეგიამ დაკავებულებს: ირაკლი ციკოლიას, გრიგორ ხარებავას და დავით კოჩიევს მიუსაჯა 20 დღით, ხოლო გენადი კეკელიას 25 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გოჩა ჩხაიძე, თენგიზ ღლონტი, მადონა გოგუა, ადა მარშანია, შოთა გლურჯიძე და ქეთევან გოგინაშვილი დაჯარიმდნენ ფულადი თანხით 400 ლარის ოდენობით.

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

(მესამე გვერდიდან) **– დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გარდა იმისა, რომ საქართველომ ტერიტორიული მთლიანობა დაკარგა, ქვეყნის უსაფრთხოება არ არის უზრუნველყოფილი, შიდა და გარე ფაქტორების გამო სტაბილურობის ხარისხი სასურველზე გაცილებით ნაკლებია. მიუხედავად მტკიცებისა, რომ ბიზნესის დაწყების სიიოლით ლამის მთელ მსოფლიოს გავასწარით, ეკონომიკის განვითარებაში სერიოზული გარღვევა არ გვქონია, ვერც სოფლის მეურნეობასა თუ განათლებაში გატარებული რეფორმებით დავიკვეხნით. ვერც იმას ვიტყვით, რომ გლობალისტურ მსოფლიოში მოიძებნა ქართული იდენტურობის თანამედროვე კონტექსტი და ისიც გაურკვეველი რჩება, განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად როგორი უნდა იყოს თანამედროვე ტიპური ქართველი...**

# რევოლუციურ-სამიტინგო თრობით შეიძლება კადაფიზმის ამა თუ იმ ფორმისთვის გავწიროთ ჩვენი უახლოესი მომავალი



– განათლების პრობლემა უმწვავესი პრობლემაა. ცხადია, განათლება ინსტრუმენტი უნდა იყოს არა მხოლოდ ყოველი ცალკეული პიროვნებისთვის, არამედ – მთელი კულტურისთვისაც. მართალი ბრძანდებით, სწორედ მან უნდა მოგვცეს ახალი იდენტობა. ძნელია წინასწარ იმის თქმა, როგორი უნდა იყოს დღეს ტიპური ქართველი. ცხადია, გარემოებები მისგან საკუთარი ისტორიითა და ეთნოგრაფიული რაობით ნარკოტიკული თრობისაგან გათავისუფლებას, მეტ რაციონალიზმსა და შრომის კულტურას მოითხოვს – უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს საქართველოში შრომის კულტურის ტოტალური დეფიციტია და ამას არ შველის ცარიელი განცხადებები იმის შესახებ, რომ ქართველი კაცი ოდითგანვე შრომის მოყვარული იყო.

ნაციონალ-უტოპიურმა წარმოდგენებმა, სტალინისტურმა პარადიგმებმა და ქურდულმა იდეოლოგიამ ჩვენ მნიშვნელოვნად დაგვხია უკან და თანამედროვე სამყაროს მიმართ საგრძნობლად გაგვაუცხოვა. განათლების სისტემამ სწორედ ამ მდგომარეობას უნდა უმკურნალოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უვარგისთან ერთად თავიდან მოვიშოროთ ის ცოცხალი წერტილებიც, რომლებიც ჩვენს იდენტობას განსაზღვრავდნენ და განსაზღვრავენ, როგორც ამას ჩვენი შინნაზარდი ულტრალიბერალი ნიჰილისტები აკეთებენ. არსებობს რაღაც ძირეული და არსებითი, რის გარეშეც ჩვენ მხოლოდ აბსტრაქტული ევროპელის უშინაარსო მოდელს დავემსგავსებით.

**– რჩება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოება პოლიტიკური კონტექსტიდან ამოვარდნილია და ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში სულ მცირე მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ ან ვერ მონაწილეობს. საქართველოში დემოკრატიის ნაკლებობას იმასაც უკავშირებენ, რომ ქვეყნის ყველა მმართველობა ავტორიტარიზმისკენ იხრებოდა. თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია საქართველოში რეალური დემოკრატიისა და ხალხის რეალური მმართველობის დამკვიდრება?**

– წეღან მე დაგისახელეთ თავისუფალი საზოგადოების ორი აუცილებელი პირობა: სადისკუსიო სივრცე და თანამშრომლობა საერთო გარემოს შესაქმნელად, ზოგადად, თანამშრომლობის კულტურა. ისინი ურთმანეთოდ არ არსებობენ, ხოლო თუ არსებობენ, ისტორიულ ნაყოფს ვერ იძლევიან. დემოკრატია არ არის მხოლოდ მავანის სურვილი, მის აზრს ყური დაუგდონ და გაითვალისწინონ. იგი, უმალ სხვისი აზრის დანახვის უნარია, საკუთარი ჰერმეტულობიდან თავის დაღწევის უნარი. ასევე, თანამშრომლობა ნიშნავს, რომ გესმის, სხვისი ძალისხმევა შენი კაპიტალიცაა და – პირიქით. იგი ნიშნავს, რომ პარტნიორი შენთვის ნიშნავს არა მხოლოდ ინსტრუმენტს, არამედ თანასწორუფლებიან პიროვნებას, რომელიც საერთო საქმისათვის შენთან ერთად იღვწის. არის კიდევ ერთი მომენტი: საერთო სასიცოცხლო სივრცის განცდა. დღეს ჩვენში ჯერაც საერთო სასიცოცხლო სივრცე ცალკეულის სასიცოცხლო სივრცეებად არის დაქუცმაცებული და არ არის ერთობლივი ზრუნვის საგანი. და მაინც, ისტორიული პრაქტიკა თავისას აკეთებს. დარწმუნებული ვარ, რომ არც ისე შორეულ მომავალში დადგება დრო, როდესაც აღმოვაჩენთ ერთმანეთს, თითოეული ჩვენგანის ჩაკეტილობას დავძლევთ და მაშინ ალბათ თავს უკვე უხერხულად ვიგრძნობთ იმის გამო, რაც დღეს გვჭირს.

მესმის, რომ მძიმე მეკვიდრეობა გვაქვს. ისიც მესმის, რომ სამი მარცხით დამთავრებული ომი და ხელისუფლების ორი ცვლა მძიმედ აწევს ჩვენს სულს. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც საკმაოდ დიდი სასიცოცხლო ძალები და საღი აზრის სურვილი შევინარჩუნეთ?! ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. დღეს უკვე ადამიანთა საკმაოდ ფართო წრეზე ჰიპნოზურად აღარ მოქმედებს პოლიტიკურ აქციებზე ოპერეტული ნაციონალიზმისა თუ ქრისტიანობის გემოვნებით გამართული პოლიტიკური სანახაობები, მავანი პოლიტიკოსის მიერ დაღვრილი ცრემლი, პოლიტიკოსთა შორის „კაცური“ გარჩევები და მრავალი სხვა უბადრუკი ხერხი.

შეიძლება მეჩვენება, მაგრამ მაინც მგონია, რომ ამ ეტაპზე მასობრივი პოლიტიკური ცხოვრების პერიფერიაზე გადაინაცვლა ერთგვარი პოლიტიკური გულშემატკივრის ფსიქოლოგიამაც, როდესაც პოლიტიკური გუნდი და ფეხბურთის საყვარელი გუნდი ვერ განგისხვავებია ერთმანეთისაგან და ვიღაცას მხარს უჭერ, მიუხედავად იმისა, რასაც საღი აზრი გვიკარნახებს. პოლიტიკოსთა მიმართ ეჭვი – რის გარეშეც შეუძლებელია თავისუფალი საზოგადოება – ადამიანთა უკვე საკმაოდ ფართო წრისთვის იქცა ბუნებრივ მდგომარეობად და, რაც მთავარია, ასევე საკმაოდ ფართო წრეს ესმის, რომ ხელისუფლებასთან დამოკიდებულების ის წესი, რომლითაც აქამდე ვხელმძღვანელობდით, უკიდურესი სიყვარულისა და უკიდურესი ზიზღის სწრაფი მონაცვლეობა, უბრალოდ, არ გვაძლევს საშუალებას, ხელისუფლება ვმართოთ და ვაქციოთ იმ ინსტრუმენტად, რომლითაც ჩვენი საარსებო გარემო უნდა შევქმნათ.

თუმცა, ყველაფერი ეს ძალზე მყიფეა და ყოველდღიურ ზრუნვას მოითხოვს, ვიდრე სისხლში გაგვიჯდებოდეს. საარსებო გარემოს შექმნას დღეს ჩვენგან, რიგითი მოქალაქეებისგან მშვიდი სიფხიზლე უნდა. ამგვარი მშვიდი სიფხიზლისა და ჩვენი ნაბიჯების შესაძლო შედეგების გათვალისწინების გარეშე, ყველა პრობლემის ახალი რევოლუციურ-სამიტინგო თრობით მოგვარების სურვილით ჩვენ შეიძლება დიდი ხნით მივეჯაჭვოთ ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას და კადაფიზმის ამა თუ იმ ფორმისათვის გავწიროთ ჩვენი უახლოესი მომავალი.

ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი კარგიც იყო: თავდადება, ქვეყნის სიყვარული, ცალკეულთა გონიერება, ქვეყანაზე ზრუნვა, რაც მთავარია, ვიძენდით და ვიძენთ თანამედროვე სამყაროში არსებობისთვის აუცილებელ გამოცდილებას. თუ ეს არ შევამჩნიეთ, მაშინ უახლოესი წარსული მხოლოდ ტანჯვად წარმოგვიდგება და ეს ჩვენი ძალების პარალიზებას გამოიწვევს.

**კობა ბენდელიანი**

ენერგეტიკა

# ფუკუსიმას გვერდის ავლით...

**ჯერ კიდევ წლის დამდეგამდე, ვიდრე იაპონიის ნაპირებთან მომხდარი მიწისძვრის შედეგად მსოფლიო გლობალური რადიოაქტიური კატასტროფის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა, კლიმატის ცვლილებათა სამთავრობათშორისი პანელის (IPCC) მონაცემებით, გარემოზე ადამიანის ზემოქმედების შედეგად ეკოლოგიის მდგომარეობა კრიტიკულ ზღვართან ახლოს მდგარად ფასდებოდა.**

გლობალური ცვლილებები და საშიშროებები, რომელთა წინაშე ფუკუსიმას ატომურ სადგურზე მომხდარმა ავარიამ შეიძლება კაცობრიობა დააყენოს, სრული მასშტაბით ჯერჯერობით, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. ერთი კია: ტოტალური უბედურების თავიდან ასაცილებლად მსოფლიო თანამეგობრობა უკვე დარაზმულია.



სტიქიის შემოტევებისა და დედამიწის კლიმატის საყოველთაო ცვლილებების შესახებ ეკოლოგები დიდი ხანია ლაპარაკობენ, თუმცა მათ გაფრთხილებებს მთავრობები, მმართველი ელიტები ნაკლებად უგდებდნენ ყურს. მეცნიერთა აზრის უგულებელყოფას ეკონომიკური ინტერესებით ხსნიან, თუმცა პლანეტარული მასშტაბის ნებისმიერი სახეობის კატასტროფა ყველანაირ მერკანტილურ გათვლას ნაცარტუტად აქცევს. წყნარ ოკეანეში ბოლო რამდენიმე წლის წინათ მომხდარ კატასტროფულ მიწისძვრებს და მათ მიერ მოტანილ ათას უბედურებას თავი რომ დავანებოთ, ბოლო დროს ცეცხლოვან მიწაზეც კი, რომელიც სამხრეთ პოლუსიდან, რომ იტყვიან, ორ ნაბიჯზეა, ზაფხულის საშუალო ტემპერატურამ ათი გრადუსით (!ძ მოიმატა!

დედამიწის კლიმატის დროდადრო დათბობა, შემდეგ კი გაციება, პლანეტის გეოლოგიური ცხოვრების განუყოფელი მდგენელია, რომელიც გარკვეული ციკლურობით მეორდება, მაგრამ ის, რასაც დღეს ვაწყდებით, ანტროპოგენური მოქმედების შედეგია. ეს ეხება როგორც ატმოსფეროში ფრეონისა და სხვა მავნე გაზების ჭარბად, უსაფრთხოების ტექნიკის უგულებელყოფით გაფრქვევას, ასევე ათასგვარი სამრეწველო ნარჩენებით ბუნების მოურიდებელ დაბინძურებას.

არანაირი საკამათო არ არის, რომ ტექნიკური პროგრესის გაჩერება შეუძლებელია და კაცობრიობა (ყოველ შემთხვევაში საკუთარი ნებითძ ქვის ხანაში აღარ დაბრუნდება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ **ერთობლივი უგუნურებით საქმე სწორედ ამ მიმართულებით მიგვყავს.** ამის თქმის საფუძველს ის იძლევა, რომ **მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში ბუნების დაბინძურება თბოენერგეტიკაზე მოდის, თუმცა, როგორც ჩანს, ბირთვული ენერგეტიკის სახით მას ბოლო დროს მძლავრი „კონკურენტი“ გამოუჩნდა.**

და სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ სითბური ენერგეტიკის ალტერნატიული წყაროების მიგნება და, რაც მთავარია, ყოფაში მათი დანერგვა დიდად წაადგებოდა როგორც გარემოს ეკოლოგიურ სისუფთავეს, ასევე (სიაფის გამოძ ენერგიის მომხმარებელსაც. ენერგიის განახლებადი წყარო სადღეისოდ მსოფლიოში მრავლადაა მიგნებული – თერმული და ზედაპირული წყლები, მზე, ქარი, ბიომასა, ხილი... საქმე მათი გამოყენების მეთოდების პრაქტიკული დანერგვაა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ **ევროკავშირის გეგმის შესაბამისად, 2020 წლისთვის მის წევრ ქვეყნებში გამომუშავებული ენერგიის მეხუთედ ნაწილს განახლებადი წყაროებიდან მიიღებენ.** ამასთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ, **სადღეისოდ არსებული ეკოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, ენერგიის ტრადიციულ წყაროებზე აუცილებლად მიიღებენ მნიშვნელოვან შეზღუდვებს.** ყოველივე ამის გათვალისწინებით, სადღეისოდ ენერგომოხმარების ბაზარზე უკვე მრავლადაა ამ მიმართულებით ფინანსური დახმარების გაწევისა (საინვესტიციო დაბანდებისძ და ენერგიის განახლებადი წყაროების პრაქტიკაში ფართო დანერგვის შეთავაზება.

ამ მიმართულებით საქართველოში გამოსაყენებლად ყველაზე ხელსაყრელია **ჰიდრორესურსები, ასევე მზისა და ქარის ენერგია,** რაც, უწინარესად, იმპორტულ ენერგოშემცველებზე მოთხოვნას შეამცირებს და ენერგოუსაფრთხოების ხარისხსაც აამაღლებს. ეს, ცხადია, სულაც არ ნიშნავს, რომ ტრადიციულ ენერგოშემცველებზე უარს ვიტყვით (ამას, თუნდაც, შავი ზღვისპირეთში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის პროექტი მეტყველებს, რომლისთვისაც სათანადო ადგილს წლის დამლევამდე დაადგენენ და რომელიც, ბუნებრივია, ნავთობის მსუბუქი და მძიმე დისტილატების იმპორტის აუცილებლობას მნიშვნელოვნად შეამცირებსძ. **ამასთან, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგია ტრადიციული ხერხებით მიღებულის მნიშვნელოვან დანამატად უნდა განვიხილოთ, თუმცა დროთა განმავლობაში მისი ხვედრითი წილი უნდა გაიზარდოს.** ამის დასტურად შეიძლება, მაგალითად, იმის თქმა, რომ განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ალტერნატიული წყაროების გამოყენებით მიღებული ენერგია, უახლოეს 20-25 წელიწადში, მთლიანი ენერგომოხმარების 50 პროცენტს არ აღემატება. რაც შეეხება დღევანდელობას, ეს მაჩვენებელი 25 პროცენტზე მეტი არ არის.

**ჩვენში მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“, რომლის მიზანია განახლებადი წყაროების მშენებლობისთვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვა.** ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ჰიდროენერგორესურსების გამოყენების უკვე დამკვიდრებული პრაქტიკის განვითარება (მაგალითად, მდინარე ხუდონზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობაძ, ხოლო რაც შეეხება მზისა და ქარის ენერგიებს, მათი რამდენიმე მნიშვნელოვანი მასშტაბით გამოყენების პროექტი ჯერჯერობით არ არის. არადა, ზემოაღნიშნული სახელმწიფო პროგრამის „განახლებადი ენერგია 2008“-ის ფარგლებში, ამ მიმართულებით ყველა კერძო ინვესტორს მნიშვნელოვანი დახმარება გაეწევა და სათანადო „ურთიერთგაგების მემორანდუმი“ გაუფორმდება, – ესაა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს პოზიცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოტენციურ ინვესტორთა გასააქტიურებლად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 35 მილიონი დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზის გამო, რის შედეგად პროექტის „საქართველოს ენერგოეფექტურობის პროგრამის“ ფარგლებში სამ ქართულ კომერციულ ბანკს („თიბისის“, „ქართუსა“ და „რესპუბლიკას“ძ შეღავათიანი კრედიტების გაცემის შესაძლებლობა მიეცა. აღნიშნული ენერგოკრედიტის მიღება ნებისმიერ კერძო მეწარმეს შეუძლია და ენერგიის განახლებად წყაროებში ინვესტირებით საწარმოო ხარჯის შემცირება.

იმის მიუხედავად, რომ განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მიღება თავდაპირველად საკმაოდ ძვირია, ხანგრძლივ პერსპექტივაში ეს დიდად სარფიანი საქმეა, რომლის განხორციელება როგორც კერძო ინვესტორებს, ასევე მთლიანად ქვეყანას, ბუნებასა და მომხმარებელს მრავალ სიკეთეს უქადის.

**ოთარ ტურაბელიძე**

**დღის თემა**

# „პირდაპირ ვუთხარი დასავლელ პარტნიორებს, რომ სააკაშვილთან ყურში ჩურჩული არაფრის მომტანია“

(მეორე გვერდიდან)

**— თუ კი „რვიანის“ გარეშე მოლაპარაკებები მაინც გაგრძელდა?**

— კიდევ ვამბობ, რომ არ გაგრძელდება! ჩვენს გარეშე პროცესი აღარ იარსებებს. მაისამდე დრო გვაქვს. მიგვაჩნია, რომ მოლაპარაკებების შედეგი იმაზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, რომ საკუთარი პოზიციის დაცვას მაქსიმალურად მიაღწიო. ეს ესმის ჩვენს მხარესაც და დარწმუნებული ვარ, ესმის „ნაციონალურ მოძრაობასაც“.

**— ანუ, უშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ მოლაპარაკებები უცვლელი ფორმატით გაგრძელდეს?**

— რა თქმა უნდა!

**— მაგრამ ცსკ-ში გამართული ბოლო შეხვედრისას პავლე კუბლაშვილმა პროცესი ფაქტობრივად ჩაშლილად გამოაცხადა და მოლაპარაკებების ინდივიდუალურ რეჟიმზე დაიწყო საუბარი...**

— ძალიან კარგია, რომ პალიკოს დონეზე მსგავსი საკითხები ზოგადად არ წყდება. დამერწმუნეთ, რომ ფორმატი აღდგება და მოლაპარაკებები გაგრძელდება.

**— საარჩევნო გარემოს ირგვლივ დაწყებულ პროცესში ჩართვას სხვადასხვა სოციალური ჯგუფები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც გეგმავენ. ალბათ, ამას აქციების ფორმა ექნება. აქციებზე საუბრობს ოპოზიციის ე.წ. რადიკალური ფრთაც, რომელიც ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს არ სცნობს. რამდენად შესაძლებელია, „რვიანის“ მხარდამჭერებსა და „რევოლუციის“ მომხრეებს შორის გზები ქუჩაში გადაიკვეთოს?**

— მე ყოველთვის იმ პოზიციაზე ვიყავი, რომ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს აბსოლუტურად შეუზღუდავად უნდა ჰქონდეთ საკუთარი პროტესტის გამოხატვის ყველა შესაძლებლობა, მათ შორის – ქუჩაშიც. დღეს დადგა დრო, როდესაც სააკაშვილმა უნდა დაინახოს, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი მის პოზიციებს მხარს არ უჭერს. სოციალურ ძსელებში გააქტიურებით, ქუჩის აქციების ჩატარებით თუ სხვა ნებისმიერი ფორმით მასშტაბური უკმაყოფილება და სააკაშვილთან უთანხმოება უნდა დაფიქსირდეს. ასეთ აქციებს მხარს ვუჭერთ და ალბათ, ვიქნებით ინიციატორები ძალიან ბევრი სხვადასხვა ფორმის აქციების. თუმცა ყველას უნდა ესმოდეს, რომ საბოლოო ჯამში, კონკრეტული საკითხი პოლიტიკური დიალოგით გაგრძელდება. მასობრივი აქციები ზეწოლის ერთ-ერთი საშუალებაა, ძირითადი პოლიტიკური საკითხები კი ყოველთვის დიალოგით წყდება.

**— ე.წ. ზომიერი ოპოზიციისგან განსხვავებით, რომელიც ხელისუფლების შეცვლის გზად საარჩევნო გარემოს შეცვლას და შემდეგ სამართლიანი არჩევნების ჩატარებას განიხილავს, ე.წ. რადიკალები აცხადებენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის ყოველი დღე ქვეყნისთვის დამღუპველია. ისინი შემოდგომაზე არჩევნების ჩატარების შესაძლებლობაზე საუბრობენ, რევოლუციებს აანონსებენ და თქვენს მიერ ზემოთ ნახსენები ჩრდილოეთ აფრიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ირწმუნებიან, რომ მათ ქმედებებსაც დასავლეთი გაგებით შეხვდება. რა განწყობებია რეალურად დასავლეთში? იქაც მიიჩნევენ თუ არა, რომ მიხეილ სააკაშვილის და მისი ხელისუფლების წასვლის დრო უკვე დადგა?**

— სააკაშვილს ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც წარსულის პოლიტიკოსად თვლიან, – ამის თქმა ერთმნიშვნელოვნად შემიძლია, რადგან ყველა პოლიტიკურ ლიდერთან შეხვედრა ამ განცდას მიჩენს. თუმცა რეალისტები უნდა ვიყოთ და კარგად ვაცნობიერებდეთ, რომ სააკაშვილი დღეს ქვეყნის ლეგიტიმური პრეზიდენტია და მისი ხელისკვრით გადმოგდება არ შეიძლება. საქმე მარტივადაა: შეიცვალოს საარჩევნო გარემო და ქვეყანაში ხელისუფლების დემოკრატიულად არჩევის პირველი პრეცედენტი შეიქმნას. სააკაშვილის გარეშე ამ საქმის გაკეთება ძალიან



რთული იქნება. პრაქტიკულად ისევ ძალადობისკენ წავალთ. ამიტომ ყველა პოლიტიკური ძალა ჩემთვის პარტნიორია – როგორც ოპოზიციაში, ისე ხელისუფლებაში. ეს საქართველოს განვითარების აუცილებელი პირობაა. დიალოგის პროცესშიც, მოლაპარაკებების პროცესშიც ჩემთვის განმსაზღვრელი ის არის, რითაც შედეგი მიიღწევა. შემოდგომაზე არჩევნების ჩატარების პერსპექტივას ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ.

**— გარდა საარჩევნო გარემოს პროცესისა, კიდევ რა საკითხებზე ისაუბრეთ დასავლელ დიპლომატებთან?**

— ამ ეტაპზე იქ მთელი ყურადღება აფრიკაში მიმდინარე მოვლენებისადმია მიპყრობილი. მსოფლიოში არსებულ ყველა საკითხზე ჩემი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მქონდა. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ საქართველოსთვის ყველაზე მთავარია, ის გამოცდა ჩავაბაროთ, რომელიც საარჩევნო გარემოს ცვლილებას ეხება. ამით საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ ჩვენ მტკიცე ნაბიჯებით მივდივართ ევროპული ოჯახისაკენ. ამის პოტენციალი და შანსი რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად გვაქვს. თუ ამ ტესტს ვერ ჩავაბარებთ, იმ გათელილი გზით უნდა ვიაროთ, რომლითაც აფრიკაში დადიან. ჩემთვის ალტერნატივა არ არსებობს და მთავარი ამოცანაა, საქართველო ევროპულ ოჯახში დავამკვიდროთ. ამისთვის პარტნიორებს ყველგან – მედიაშიც, პოლიტიკაშიც და საზოგადოებაშიც ვეძებთ.

**— ბრიუსელში თქვენი ვიზიტის პარალელურად მიხეილ სააკაშვილსაც ჰქონდა ვიზიტი. ხომ არ შეხვდით ერთმანეთს?**

— არა, არ შევხვედრილვართ.

**— გუშინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოულოდნელად აშშ-ის მიერ საქართველოსთვის მძიმე შეიარაღების მიწოდების აუცილებლობის შესახებ განაცხადა. რას უნდა უკავშირდებოდეს, თქვენი აზრით, ეს განცხადება და ხედავთ თუ არა ამის აუცილებლობასა და რეალურ პერსპექტივას?**

— ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში ამ საკითხზე მსჯელობა დიდი ხანია, მიდის და აზრთა სხვადასხვაობაა. აქ საუბარი თავდაცვით შეიარაღებაზეა და არა საიერიშოზე. სააკაშვილის არასაიმედო პარტნიორად აღქმის შემდეგ ამერიკაშიც და ევროპაშიც ის აზრი გაუჩნდათ, რომ არ შეიძლება, ამ ადამიანს იარაღი ანდო. დღემდე აშშ-ც და ყველა სხვა ქვეყანაც თავდაცვით შეიარაღებაზე უარს გვეუბნება. ჩემი აზრით, სიფრთხილე აუცილებელია, მაგრამ ჩვენს ქვეყანას თავდაცვითი შეიარაღება ესაჭიროება. 2008 წელს იმის გამოცდილება გვქონდა, რომ მეზობელმა ქვეყანამ ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილი დაიკავა და დღემდე ოკუპირებული აქვს. მიუხედავად იმისა, რა შედეგები გამოიწვია 2008 წელს სააკაშვილის ამჩატებულმა საქციელმა, ჩვენს ქვეყანას თავდაცვითი შეიარაღება სჭირდება. მგონია, რომ ჩვენი ერაყისა და ავღანეთის საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობით ეს დავიმსახურეთ და შეგვიძლია, საკუთარ იარაღს პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ. სააკაშვილი დღეს არის, ხვალ აღარ იქნება, ქვეყანას კი თავდაცვა სჭირდება. სამწუხაროდ სააკაშვილი, როგორც არასანდო პოლიტიკური ლიდერი, ბარიერი თვითონ გახდა, მაგრამ ჩემი აზრით, მომავალში ეს ბარიერი გადაილახება.

**— მოსკოვიდან დაბრუნებულმა კახა კუკავამ განაცხადა, რომ ალექსანდრე ებრალიძის მონაწილეობით რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების შესახებ შეთანხმებას მიაღწია. თუ გჯერათ ამის და თუ შეთანხმება მართლაც მიღწეულია, რა პოზიცია უნდა დაიკავოს ქართულმა მხარემ რუსეთთან მსო-ში გაწევრების შესახებ მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე, რომელიც, წინასწარი ინფორმაციით, აპრილისთვისაა დაგეგმილი?**

— ეს კუკავას მუშაობის შედეგია?! ჩვენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებაზე პოზიცია კუკავას რუსეთში ვიზიტის გარეშეც ჩამოყალიბებული გვქონდა. რაც შეეხება კუკავას ვიზიტის მიღწევას, ამის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ და კომენტარს ვერ გავაკეთებ. ზოგადად კი მსო-ში გაწევრების საკითხზე მოლაპარაკებებთან დაკავშირებით არაერთხელ მითქვამს, რომ მთავარია 2 რამ: პირველი – რუსეთის მსო-ში გაწევრება გვაწყობს, რადგან ამით ჩვენი პროდუქცია რუსეთის ბაზარზე დაბრუნდება; მეორე კი საბაჟო საზღვრის საკითხია, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ამ ეტაპზე არ სცნობს. უნდა მოიძებნოს ისეთი ფორმულირება, რომ მესამე ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საზღვარზე საქართველოს სახელით მონიტორინგი განახორციელონ. ჩვენმა დელეგაციამ მოლაპარაკებებში ამ საკითხებზე უნდა იფიქროს.

**ხათუნა გაგნიძე,**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

**ეკოლოგია**

# ზღვის სანაპირო ზოლში ტერიტორიებს ვკარგავთ!

**„მწვანეთა პარტიის“ ინფორმაციით, საქართველო შავი ზღვის სანაპირო ზოლში ტერიტორიებს კარგავს.**

როგორც „პირველს“ „მწვანეთა პარტიის“ ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ განუცხადა, „ეს ზღვის მოქცევის შედეგია, თუმცა არა ბუნებრივი, არამედ ადამიანის ჩარევით გამოწვეული“.

**„შავი ზღვის სანაპირო ზოლში საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი. მას შემდეგ, რაც თურქებმა მდინარე ჭოროხზე კაშხლები ააშენეს, სანაპირო ზოლს ძირითადი საკვები მასალა – ქვიშა და ქვა-ღორღი გამოეცალა. ეს მასალა შემოჰქონდა მდინარე ჭოროხს, რომელიც შავ ზღვას საქართველოში უერთდება. ახლა იგი თურქეთის კაშხალზე რჩება, ბათუმის მიმდებარედ კი ზღვა სანაპიროსკენ სულ უფრო მოიწევს. სოფლები ანგი და ადლია ფაქტობრივად განწირულია. ნაპირთან ახლოს მდებარე სახლები წყალმა უკვე დატბორა. სრული დილეტანტიზმის გამოვლინებაა იმის მტკიცება, თითქოს ეს გლობალური დათბობის შედეგია. რეალური მიზეზი თურქეთის კაშხალია და ეს ყველამ იცის“,** – განაცხადა გაჩეჩილაძემ.

მისივე ინფორმაციით, ენგურის კაშხლის გამო მსგავსი მდგომარეობაა ანაკლიაშიც, რის გამოც იქ სანაპირო ზოლში მშენებლობა მიუღებელია.

**„ანაკლიის სანაპირო ზოლში სასტუმროებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობას აპირებენ. სანამ ამას განახორციელებენ, უმჯობესი იქნება, გეოლოგებს დაეკითხონ, ვინაიდან ანაკლიაში ზღვა ნაპირს რეცხავს და იქაც იგივე შედეგია მოსალოდნელი, როგორიც თავის დროზე ფოთში რიონის კასკადის მშენებლობით დადგა. ფოთში ზღვამ 1 კილომეტრით გადმოიწია ნაპირისკენ, რის შედეგადაც ფოთის იპოდრომი, სახლები და სხვა ნაგებობები წყალქვეშ მოექცა“,** – განმარტა გაჩეჩილაძემ.

„მწვანეთა პარტიის“ ინფორმაციით, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში ნაპირგამაგრებითი სამსახური ცალკე არსებობდა, მოგვიანებით აღნიშნული სტრუქტურა, ოღონდ საკმაოდ დასუსტებული გარემოს დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შევიდა, გარემოს დაცვის სამინისტროს ბოლო რეორგანიზაციის შემდეგ კი ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს გადაეცა.

**„საქართველოში, სადაც 26 000 მდინარეა და შავი ზღვა, ასეთი სამსახური საკმაოდ მძლავრად უნდა ფუნქციონირებდეს“,** – დასძინა „მწვანეთა პარტიის“ ლიდერმა.

**ნინო ჩიჩუა,**
**პირველი**

**რეიტინგი**

# პატივისცემა და პრესტიჟი

**ნებისმიერი, მით უმეტეს მსხვილი კომპანიისთვის, ბიზნესის რომელ სფეროშიც უნდა მოღვაწეობდეს იგი, რეპუტაცია, ნდობა, რომელსაც ერთი სიტყვით, „იმიჯით“ გამოხატავენ ხოლმე, ხშირად ვირტუალურ კაპიტალს წარმოადგენს. ამდენად იმას, თუ რამდენად დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ესა თუ ის ფირმა თავის სფეროში, ქვეყანასა თუ მის ფარგლებს გარეთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თავად მისთვის, ასევე მისი პარტნიორებისთვის, პოტენციური ინვესტორებისთვის და პროდუქციის თუ მომსახურების მომხმარებელთათვის. ამდენად, ვფიქრობთ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია და სასახელო ნებისმიერი კომპანიისთვის ინვესტორთათვის განკუთვნილი სოლიდური ჟურნალის „ბერონის“ სიაში მოხვედრა, რომელიც ბოლო წლებში მსოფლიოში ყველაზე პატივსაცემი კომპანიების რეიტინგს აქვეყნებს.**

მეშვიდედ შედგენილ რეიტინგში, რომელშიც საბაზრო კაპიტალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოს უმსხვილესი ასი კომპანიაა შეყვანილი, ჟურნალის რედაქციამ 90-ზე მეტი პროფესიონალი ინვესტორის არგუმენტაცია გაითვალისწინა.

რედაქციის წარმომადგენლის განცხადებით, რეიტინგში ასახულია მსხვილი კომპანიებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულება, ამასთან, შეფასების კრიტერიუმები – „დიდ პატივს ვცემ“ და „პატივს არ ვცემ“ – გარკვეული „გამაფრთხილებელი ნიშანია“ იმ ფირმებისთვის, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს რამდენადმე ჩამორჩებიან. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (32 პროცენტი) მიიჩნევს, რომ **კარგი, მიმზიდველი ბიზნეს-სტრატეგია ამა თუ იმ კომპანიის მიმართ პატივისცემის უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორია. მეორე კომპონენტი კი, რომელიც პოტენციურ ინვესტორთა 28 პროცენტმა დაასახელა, კარგი მენეჯმენტია.**

გარდა ამისა, ფირმების პატივისცემის საფუძვლად გამოკითხული საქმის ხალხი ასევე ასახელებს **ბიზნესის წარმოების პრაქტიკასა და კონკურენტულ უპირატესობას,** ხოლო რაც შეეხება **მოგებასა** და **შემოსავლის** ზრდას, ამ გარემოებებს ინვესტორთა მხოლოდ 7 პროცენტი გამოყოფს(!).

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსოფლიოს ყველაზე პატივცემულ სოლიდურ კომპანიად, ზედიზედ მეორე წელია, ჟურნალი „Apple“-ს ასახელებს. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, „Amazon.com“-ი და „Berkshire Hathway“ არიან. აღნიშნული ფირმები ათეულში ასევე არიან „IBM“, „McDonalds“, „Google“, „3M“, „Coca-Cola“, „Pepsico“, „Procter&Gamble“.**

ცალკე აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტად ამ რეიტინგში პოზიციები მექსიკის ყურეში მომხდარი უდიდესი ავარიის შემდეგ, „BP“-მ დათმო, რომელმაც ისედაც არც თუ დიდად პრესტიჟული 47-ე ადგილიდან მთლად 95-ე ადგილზე გადაინაცვლა. გაუმართავი სამუხრუჭე სისტემების გამო ავტომანქანების მასობრივმა დაბრუნებამ მსოფლიო ავტოინდუსტრიის გიგანტი „Toyota“ არცთუ ურიგო მე-6 ადგილიდან 47-ე პოზიციაზე „მოისროლა“, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ წაყენებულმა პრეტენზიებმა აქამდე ერთობ სოლიდური „Coldamn Sachs“-ის 30 ადგილიდან 66 ადგილზე გადაიყვანა.

**მოამზადა**
**ირმა ირემაშვილმა**

**ჩვენებურები**

# მექანიკური მოქალაქეები

**38 წლის გაგა ჩემი მეგობრის ნაცნობის ნაცნობის (სასამართლოში თარჯიმნად იწვევენ ხოლმე) საშუალებით გავიცანი.** მისი მიგნება არც ისე ძნელი იყო, გასაუბრებაზე დათანხმება კი – საკმაოდ რთული.

ერთი წლის წინათ ამერიკაში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. „სტარბაქსში“ ვზივართ. ყავას საერთოდ არ ვსვამ, მაგრამ ახლა ოღონდაც არ გამექცეს, ამ სითხეს ნახევრადსოციალური ღიმილით ვწრუპავ. სატელეფონო საუბარს არ დამთანხმდა, საქმე შეიძლება გამიფუჭდესო. არც დიქტოფონი, მით უმეტეს – ფოტოაპარატი. კალამი და ფურცელი. წყაროს აბსოლუტური კონფიდენციალობის დაცვის ლამის ბიბლიაზე მეასედ დაფიცების, სანდო შუამავლის გვარ-სახელის ათჯერ გამეორების შემდეგ, როგორც იქნა, საქმეზე გადავდივარ. მეშინია არ გადაიფიქროს. ამიტომ დროს არ ვკარგავ და პირდაპირ ვეკითხები:

**– საქართველოშიც გეი იყავი?**
– ვითომ არ ვიცი, რომ არ იყო.

– ხუმრობ? რასაკვირველია, არა. შემომხედე, ვგავარ?

**– როგორ უნდა გეტყობოდეს?**

– ვითომ არ იცი. ატლეკილი, აბრიოლინებული, ჟელეიანი თმით, შემოტკეცილი შარვლით, პრანჭიკელა ქალის მიხვრა-მოხვრით. შარვალი-ელასტიკით და ოდნავ ბავშვური ღიმილით. კაცი რომ ჯინს-ელასტიკს ამოიცვამს, ფრჩხილებზე ლაქს წაისვამს, გაუთავებლად საყურეებს ეხება, თმებს ისწორებს და ისეთ დეკოლტე-მაისურს ჩაიცვამს, საიდანაც გულმკერდზე ბანჯგვლები უჩანს...

**– შენ როგორ გეცვა ინტერვიუზე?** (საემიგრაციო სამსახურში პოლიტიკური თავშესაფრის მიღების პროცესის ერთ-ერთი პროცედურა, რომელიც თავშესაფრის მაძიებლის ადვოკატის თანდასწრებით მიმდინარეობს – ი.მ.)

– ნუ, ბრიოლინი არ წამისვამს, მაგრამ მაქსიმალურად შევეცადე, რომ მიხვრა-მოხვრა ცისფრის მქონოდა. ფილმებს ვუყურე. მოვიქეცი ისე, როგორც საქართველოდან ჩემმა ქართველმა და აქაურმა, ამერიკელმა ადვოკატებმა დამარიგეს. მეზიზღებოდა ამის კეთება, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა.

**– რისი კეთება?**

– კურტუმოს ქნევა. თამაში. არადა ვერ ვიტან გეებს. საქართველოში ხომ ვერ ვიტანდი, რუსეთში ვცხოვრობდი და იქაც ვერ ვიტანდი, ნაცემიც კი მყავს რამდენიმე. აქაც ხომ ვერ ვიტან და რომ ვუყურებ, გული მერევა. ვცემდი, თფუიი. მაგათი დედა... ბოდიში, დაია, თქვენთან.

**– მაინც როგორ და რატომ ვერ იტან?**

– კაი რა? მაგრა ვერ ვიტან. მეტრაკეები რა ასატანი არიან?

**– გაგა, მაგ ლოგიკით ჰეტეროებს რა ჰქვიათ? შენთვის სულ ერთი არაა, ვინ რას აკეთებს საწოლ ოთახში? ისე, ანალურ სექსს ჰეტეროებიც „მისდევენ“...**

– დაია, მაინც და მაინც გინდა, რომ გითხრა რა ჰქვიათ? არ მომწონს ჰომოები და მორჩა. ქალივით რომ დაიტყლარჭებიან. ნაზილამაზები. მგრძნობიარეები. ეგრევე ვხვდები. საუბარში ეტყობათ. ჩემი ნება რომ იყოს, კი არ მოვკლავდი, სადმე ცალკე კუნძულზე გადავასახლებდი. ანალური სექსი კიდევ ქალთან ვიცი მე. „კრიშიდან“ კი არ ჩამოვარდნილვარ გუშინ...

**– და გგონია, რომ ჰომოსექსუალები 24 საათი მხოლოდ სექსით არიან დაკავებული, სექსმანიაკები არიან? მუშაობენ, ადამიანებს კბილებს უპლომბავენ. შენთვის სულ ერთი არაა, კბილს ვინ დაგიპლომბავს, მთავარია კარგად დაგიპლომბოს?**

– არაა სულერთი. შეფურთხება მინდება. თფუი ეშმაკს. ბანძები და თახსირები არიან. სირები. სიროზაა. სოდომ-გომორა. ქრისტიანობა არაა ეგ.

**– ანუ როცა გეის ხედავ, მხოლოდ მისი და მისი საყვარლის სექსი წარმოგიდგება თვალწინ? აი, ბავშვიან ქალს რომ ხედავ, რა წარმოგიდგება თვალწინ? როგორი სექსი აქვს ბავშვის მამას და დედას, თუ უბრალოდ ხედავ ქალს, რომელსაც შვილი ჰყავს ჩახუტებული?**

– გეები არანორმალურები არიან, დაია. ღმერთი დასჯით და მეც ღმერთის მხარეზე ვარ. ბიბლია არ წაგიკითხავს? ღმერთს ვინც არ უყვარს, ის არც მე მიყვარს. არაკაცობა არაკაცობაა. მორწმუნე ვარ. არ მინდა და ძალაა? ღმერთმა ქალი და კაცი გააჩინა და გამრავლდითო, ასე თქვა.

**– კი გამრავლდითო, მაგრამ გამრავლებამდე გიყვარდეთ ერთმანეთიო, ასე არაა? კანონს არ არღვევენ. კრიმინალები არ არიან.**

– კრიმინალზე უარესები არ არიან? რად უნდა კანონი მაგას? ყველაფერს კანონში ხომ არ ჩაწერ? დაუწერელიც ხომ არსებობს? კაი რა, რაებს მეუბნები. კაცობა სად უნდა ეწეროს? „დედაენაში?“ კაცობა ბიბლიაში წერია. არ უნდა იყვნენ ჩვენს გვერდით! არაა ეკლესიური. გვარი და ჯილაგი გადაუშენდებათ. სიროზაა. თანაც მაგარი.

**– მაგრამ ხომ გამოიყენე ცოდვიანი?**

– ეგ სხვაა, ეგ ამასთან არაფერ შუაშია. მირჩიეს და გამოვიყენე. საქმეს ასე სჭირდებოდა. ვითამაშე.

**– ჰო, მაგრამ, ხომ გამოიყენე. ამის გამო მიიღე თავშესაფარი, მწვანე ბარათს მიიღებ. მერე ამერიკის მოქალაქეც გახდები, ანუ მოქალაქეობისთვის სირობა გამოიყენე. ეს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რელიგიურად ცოდვა არაა? საემიგრაციოს თანამშრომელი ბრიოლინიანი ჰომოსექსუალი რომ ყოფილიყო, ინტერვიუზე დისკომფორტს არ შეგიქმნიდა? თუ შენ და შენმა ადვოკატმა ეგეც წინასწარ გაითამაშეთ?**

– რას მეკითხები? რატომ ბჟირდები? რატომაა ცოდვა? პედერასტობაა სიროზაა, ჰოდა, ამ სირების გამოყენება, გამაგებინე, რატომაა სიროზა? სირი უნდა გამოიყენო და მეტიც უქნა. პატიოსნებს რომ იყენებენ, კარგია?

**– გაგა, ამერიკის მწვანე ბარათსაც და პასპორტს კი მიიღებ, მაგრამ მექანიკური და არა ნამდვილი მოქალაქე იქნები. ტყუილით დაიწყე ამ ქვეყანის მოქალაქეობა.**

– დაია, ვის რაში აინტერესებს ვინ, რა, რით, როდის დაიწყო? არც ამ ქვეყანას აინტერესებს. ვინმე გიჟი-დარტყმულის გარდა. ყველას თავისი გზა აქვს. მთავარია, გაძვრე. გაგიმართლოს. ადამიანივით ცხოვრება მინდა. გამეცინა, „მექანიკური“ რომ ახსენე. მექანიკურს ვინღა ხმარობს? ახლა „ბატარეებია“ „ხოდში“. დაიცალა, დატენი ან გადააგდებ.

**– ჰომოსექსუალიზმი რატომ „აირჩიე“?**

– იეღოველობაც ან სხვა რელიგიაც შეიძლებოდა, მაგრამ ადვოკატმა ეს მირჩია. საქართველოში მათ აღარ დევნიან ისე, როგორც მკალავიშვილის დროს. აღარ არიან მოდაში. „სკანდალს“ ვეღარ გააკეთებ. „კრუპნი“ პოლიტიკური დევნილი კიდევ ოქრუაშვილია და ისიც საფრანგეთშია წამოსკუპული. 2008-ის ომის მერე ვილაც-ვილაცებმა ომის გამო ამერიკაში კი გაიკეთეს პოლიტიკური, მაგრამ მას მერე დრო გავიდა. ოქრუაშვილს კი რა უჭირს? სხვამ იკითხოს, თორემ. მაგას ბლომად გამოუჩნდება მფარველიცა და მხარდამჭერიც. ფულსაც იშოვის, რომ დასჭირდეს. ჩემნაირმა უპატრონომ და საცოდავმა იკითხოს. მთელი ცხოვრება ჩალიჩში რომ უნდა გავატარო. ძნელია უკვე „პოლიტიკურზე“ სუფთა პოლიტიკურით წახვიდე. ადრე გაცილებით ადვილი იყო. ვერ დაამტკიცებ უკვე. რადგან სიტყვის თავისუფლებაა საქართველოშიო. ორ ქალს ვიცნობ აქ პირადად, რუსები არიან – ლესბოსელობით გააკეთეს. ერთს ვიცნობ კიდევ ქართველს, ჩემზე „ვზროსლია“. მანაც ჩემსავით გააკეთა. კიდევ არიან, რა...

**– რა იყო შენს „ქეისში“?**

– ამას დაწვრილებით არ მოგიყვები. ნურც მკითხავ. უბრალოდ მივეკუთვნე გარკვეულ სოციალურ ჯგუფს. უწოდებენ ასე: „არატრადიციული სექსუალური



ორიენტაცია“. უბრალოდ, დავამტკიცეთ, რომ ვითომ თბილისში ორჯერ მცემეს ჩემი „ვიდის“ გამო. ძალიან დამეხმარა საქართველოს პრესაში გამოქვეყნებული ჰომოფობური სტატიები. აჰა, ეს სიტყვაც კარგად დავისწავლე. აქ ორ-სამ საიტზე დავრეგისტრირდი. რამე რომ ყოფილიყო, საბუთი მქონოდა, რომ გეების „კომუნითის“ წევრი ვარ. ვინ იცის, მტკიცებულება როდის დამჭირდებოდა. სურათები გადავიღე. ვიტყლარჭებით ბიჭები, ვითომ „გეი ფართიზე ვარ“. გეების კლუბების მისამართები მოვიძიე. სულაც არაა საჭირო, რომ სახელმწიფო ოფიციალურად გდევნიდეს, როგორც ეს არაბულ ქვეყნებშია. საკმარისია, მაგალითად, სამსახურში არ მიგიღონ, გცემონ ან დაგცინონ ან მეზობელმა „გამარჯობა“ არ გითხრას; ან შიდსი თუ გაქვს და სამსახურიდან გაგათავისუფლეს. ჰოდა, ამერიკა ეგეთ „პასტრადავში“ ხალხს იკედლებს.

**– შენ იქით სცემდი ამათ და ახლა გამოიგონე, რომ შენ გცემდნენ იმავე მიზეზით... „მაგარია“, არა? ყველას გადაუჯოკრე?**

– ბევრს ნუ მკითხავ, კარგი? მე რასაც გეუბნები, საკმარისია. მორალის კითხვა არავისგან მჭირდება. საქმეს, ჩემს ოჯახსა და ჩემს მომავალს ასე სჭირდებოდა. ყველას თავისი გზა აქვს. ყველა სათავისოდ იტყუება და კურტუმოს აქნევს. მე ასე გავაქნიე. სხვამ – ისე. მქონდა შანსი და გამოვიყენე. საბუთების ამბებს ბოლომდე რომ მოვაგვარებ, ამერიკული ბანკიდან სესხს ავიღებ, რაიმე მენეჯმენტის კურსებს დავამთავრებ, კარგ სამსახურს ვიშოვი. ინგლისურს ვსწავლობ ინტენსიურად. ამ ქვეყანაში მთავარია საბუთი გქონდეს. მერე მარიფათზეა დამოკიდებული.

**– გაგა, ამაყობ მარიფათით, ჰო?**

– აბა, რითი ვიამაყო? საქართველოში ფული მე არ მქონდა, მამაჩემი ბასიაკივით თვრებოდა და დედაჩემი, მე რომ ათის ვიყავი, როგორც იქნა გაშორდა. 1995-ში ორჯერ გაგვქურდეს. რა გვქონდა წასაღები, აზრზე არ ვარ. ნარკომანობას ძლივს გადავურჩი. რუსეთში წავედი და კიდევ კარგი ცოცხალი დავბრუნდი. ცემატყეპაში და მოწევაში ვიყავით. სამი წელი ვიყავი იქ და ფული სახლში მარტო ხუთჯერ გავაგზავნე. ჩემს ძმაკაცს ქალის გამო ჩეჩნებმა დანა გაუყარეს. ჩამოასვენეს დედისერთა ბიჭი და მის კუბოს თვითმფრინავით ჩამოვყევი. თბილისში ბირჟაზე ვიდექი. დიპლომი სად ჯანდაბაში მაქვს, დღემდე არ ვიცი. სმა დავიწყე და ოჯახი დამენგრა. ცოლი გამექცა. ახლა შვილებს გავუკეთებ რაიმეს. ორი მყავს. ამერიკელ ქალთან ფიქტიურად ხელი რომ მომეწერა, ეს დიდ რისკზე წასვლას ნიშნავდა და იმიტომ შემეშინდა. ჯერ ერთი, ბევრი ფული დამჭირდებოდა. ხალხი აქ 20 და 30 ათასებს იხდის ამაში. სიმწრით ნაშოვნ ფულს ჰაერზე აგდებს. და მეორეც, ფიქტიური ქორწინების დროს არა გაქვს წარმატების სრული გარანტია. უშველებელ თანხას კი დახარჯავ, მაგრამ ამერიკელი „ცოლი“ ან „ქმარი“ შეიძლება არც გამოცხადდეს ინტერვიუზე. ცისფერობამ კი გაამართლა. უტყუარი იყო. მე ვთქვი, რომ ჩემს სამშობლოში დაბრუნების ძალიან მეშინია. ჩემს სიცოცხლეს და სოციალურ სტატუსს საფრთხე ემუქრება-თქო. არადა რა სოციალური სტატუსი მქონდა, ვინმე ხომ ვერ ამიხსნის? ადვოკატიც ამ საქმეებზე იყო გაწაფული. კატა მომიკლეს და მერე ფანჯარაში შემომიგდეს-მეთქი. კარგი არგუმენტი აღმოჩნდა. გაგიჟდნენ ამაზე.

**– კატა? მართლა?**

– არა, კაცო! კატა არა, ტოროლა. ვთქვი, რომ ჰომოფობებმა ჩემი საყვარელი კატა მოკლეს-თქო... კიდევ რაღაც-რაღაცები.

**– რა?**

– საკმარისზე მეტი გითხარი.

**– ასე 11-12 წლის წინათ ჰოლანდიაში მყოფ ადამიანს ვესაუბრე და მითხრა, ქართველები იქ ცისფერობას პოლიტიკური თავშესაფრის მისაღებად პანტა-პუნტით იბრალებდნენ და გასდიოდათო...**

– ახალი ამბავი! ვიცი ეგ მე. ვინ არ იცის? რა არის შენთვის ამაში ახალი? გცოდნია, დაია და ამდენს რატომ მეკითხებოდი? მთავარია კარგი ადვოკატი გყავდეს. კიდევ ფული გქონდეს, რომ გადაუხადო. კიდევ – კარგად დაიზუთხო როლი. მთავარია მიზანი უნდა გქონდეს და მისკენ უნდა მიდიოდე. ან შენ „გაგტრუპავენ“ ან შენ უნდა „გატრუპო“... ეს ჭეშმარიტება ჩემგან გესმის პირველად?

**– უბრალოდ, ისე გკითხე. დარწმუნება მინდოდა, რომ ნამდვილად არსებობ. მადლობა, რომ დამელაპარაკე. ჰო, მიზანი ამართლებს საშუალებას, არა?**

– ეს ქვეყანა იმისია, ვისაც უმართლებს. წაგებული კი სირდება. სირი ვიყავი და აღარ მინდა სიროზა. დაჩმორებას და მთელი ცხოვრება ჩმორად სიარულს ცოტა ხნით ტრაკის ქნევა არ ჯობს? ჩმორიკი აღარ ვარ.

**– ანუ ამაში ღმერთის ნება იყო, არა?**

– ეგ რა შუაშია? ჰო, ისე ყველაფერი ამ ქვეყნად ღმერთის ნებაა, დაილოცოს მისი სახელი. რავი, იყო, ალბათ. აბა, სხვანაირად, არაფერი ხდება. მას მერე რაც თავშესაფარი მივიღე, ეკლესიაში სამი დიდი სანთელი დავანთე. მანამდე ჩემს სახელს ლოცვებში მოსახსენიებლად ყველას ვაწერინებდი. შესაწირიც დიდი მივიტანე. ვილოცე. ახლა ხომ დარწმუნდი, დაია, რომ ვარსებობ? ჩემნაირები კიდევ არიან. გინდა გაგაცნო?

**– რაიმე განსხვავებულს თუ მეტყვიან, კი? ისე სურვილი აღარ მაქვს.**

– არაფერს განსხვავებულს. საქმე ყველგან თითქმის ერთნაირად იკერება...

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

**(დასასრული იქნება).**

**ინფორმაცია**

# შიდსით დაავადებულთა რიცხვმა იმატა

**შიდსით გარდაცვალების კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. აივ ინფექციით შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა. დაღუპვის მიზეზი დაგვიანებული მკურნალობაა.**

**აივ ინფექციის მატარებელმა მამაკაცმა ექიმს დაავადების ბოლო სტადიაზე მიმართა, რის გამოც პაციენტის გადარჩენა ველარ შეძლეს. ყველაზე ხშირად სწორედ დაგვიანებული დიაგნოსტიკა ხდება ლეტალური შედეგის მიზეზი.**




**გასულ წელს შიდსით დაავადების სულ 101 შემთხვევა დაფიქსირდა, წლევანდელმა მაჩვენებელმა კი 106-ს მიაღწია. მიმდინარე წლის განმავლობაში 32 აივ ინფექციით დაინფიცირებული პაციენტი გარდაიცვალა.**

**ვირუსის პრევენციის მიზნით, რისკჯგუფებს უფასო გამოკვლევა და მკურნალობა ჩაუტარდებათ, მოქალაქეებში ცნობიერების ამაღლების მიზნით კი, შიდსის ცენტრი გაიდლაინებს დაარიგებს.**

**ხ0-ეიბ-ენ0**

ინფორმაცია

## თბილისში მოძრაობის წესები იცვლება

თბილისში საგზაო მოძრაობის წესები იცვლება — ამიერიდან შუქნიშნებზე მოძრაობის დაწყებისას წითელის შემდეგ ყვითლის მაგივრად პირდაპირ მწვანე აინთება, ხოლო შუქნიშანზე მწვანეს შემდეგ ყვითელი ძველებურად დარჩება.

თბილისის მერიაში განაცხადეს, რომ სვლის დაწყებისას მძღოლები მწვანეს ანთებას არ ელოდებოდნენ და ყვითელზე იწყებდნენ სვლას, რაც ხშირ შემთხვევებში ავარიულ სიტუაციებს ქმნიდა. ახალი წესი 175 გზაჯვარედინზე უკვე ამოქმედდა, დანარჩენებზე კი უახლოეს დღეებში ამოქმედდება.

## ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის შეხვედრები ერგნეთის ნაცვლად დვანში გაიმართება

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის წევრებმა მიიღეს ოსი სეპარატისტების წინადადება აღნიშნული შეხვედრების ადგილის სოფელ ერგნეთიდან სოფელ დვანში გადატანის შესახებ. განცხადება ამის შესახებ მოლაპარაკებებზე ოს სეპარატისტთა დელეგაციის ხელმძღვანელმა მერაბ ჩიგოევმა გააკეთა.

ზეგ, 7 აპრილს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ერგნეთის ნაცვლად სოფელ დვანში გაიმართება.

„მხარეთა შორის დღის წესრიგში გამოტანილი იქნება 11 საკითხი, რომელთაგან 4 ჩვენს მიერ დაყენებული საკითხებია. უგზოუკვლოდ დაკარგული ადამიანების საკითხი, კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მთავარ საკითხად რჩება“, — აცხადებს ჩიგოევი.

ჯი-ეიჩ-ენი

ვითარება

# გორის ხელისუფლება სპორტის გონებრივ სახეობას — ჭადრაკს არ სწყალობს

**ცენტრალურ პროსპექტზე, მუზეუმის მახლობლად, საკავშირო ხელსაწყოთმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლის პირველი სართული ერთ დროს დაეთმო გორის საჭადრაკო კლუბს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი გორელი მოჭადრაკე და მწვრთნელი გურამ მუკნიაშვილი, რომლის მეცადინეობით კლუბი გადაიქცა საქართველოში ერთ-ერთ კეთილმოწყობილ სპორტულ შენობად. გორის სპორტულ სამყაროში ჭადრაკმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. ლამაზად გაფორმებული საჭადრაკო კლუბი იზადავდა როგორც ახალგაზრდებს, ისე ხანდაზმულებს. ასე რომ, საჭადრაკო დარბაზი ყოველთვის ხალხმრავალი იყო. კლუბში ყოველწლიურად ტარდებოდა ტურნირები. როგორც მოსწავლე ახალგაზრდებს, ისე გამოცდილ მოჭადრაკეებს აგზავნიდნენ რესპუბლიკურ ასპარეზობებზე.**

ჭადრაკის განვითარებამ გორს შესძინა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, მათ შორის გამოირჩეოდა იოსებ კრიხელი, რომელიც გახდა საქართველოს ჩემპიონი და საკავშირო პირველობაზეც ითამაშა, სადაც მონაწილეობდა ქვეყნის ბევრი ამომავალი ვარსკვლავი, მათ შორის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე კორჩნოი. შემდგომში ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. კრიხელი საჭადრაკო ამოცანების სფეროში გადაერთო და საჭადრაკო კომპოზიციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა და საჭადრაკო კომპოზიციის დიდოსტატის წოდებაც დაიმსახურა.

აქ, ცნობილი ქარხნის საცხოვრებელი ბინის პირველ სართულზე გახსნილ საჭადრაკო კლუბში გაიზარდა ოსტატ ქალთა შორის ციალა ქასოშვილი და სხვა ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე.

დღესაც ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღებამოკლებული საჭადრაკო კლუბი არცთუ ცუდად ფუნქციონირებს. თუმცა გამგეობის მხრივ ყველაფერი კეთდება, რომ ახალგაზრდების გონების განვითარების ეს სასიქადულო კერა დაიხუროს და ჩაქრეს.

არც თუ დიდი ხანია, რაც გორის გამგეობამ პირველი იერიში მიიტანა კლუბზე, მაგრამ არა პირდაპირი გზით, არამედ ქვეშქვეშა მანევრით. გამგეობამ დახურა გორის მწერალთა კავშირის რეგიონალური ორგანიზაცია და „დროებით“ შეასახლა საჭადრაკო კლუბში. ასე ერთი დარტყმით ორივე ორგანიზაციას შეუქმნა ნორმალური მუშაობისათვის გაუსაძლისი პირობები. სამაგიეროდ, ორივე შენობის ფართის გაყიდვით, ალბათ შესამჩნევი მოგება ნახეს. ასე რომ, ხელისუფლებამ ერთი დარტყმით ფაქტობრივად ორი კულტურულ-სპორტული ორგანიზაცია გააუქმა და ალბათ ამ კომბინაციით საკმაო მოგებაც ნახა. საჭადრაკო კლუბი ახლაც ფუნქციონირებს, მაგრამ ხელისუფლების მიერ უყურადღებობამ წაართვა მას ძველი ბრწყინვალება და ავტორიტეტი. ხელოვნურად შექმნეს ისეთი მდგომარეობა, რომელმაც ხელისუფლებას საშუალება მისცა აუქციონზე გასაყიდად გამოეტანა. ალბათ მთავრობამ გადაწყვიტა, რომ საჭადრაკო კლუბი არ არის შემოსავლიანი,. როგორც რესტორანი და კაზინო. ისე კი, საკითხავია, რა უფლების ძალით ხურავენ მწერალთა სახლს და აუქმებენ საჭადრაკო სახლს?!

ხდება ისე, რომ სპორტული ორგანიზაციების გამრავლების და შენების მაგივრად, ინგრევა და ნიავდება თვალსაჩინო სპორტული ობიექტი. რომელი სპორტული ან კულტურული ობიექტი დგას დღეისათვის ქალაქის გამგეობის შავ სიაში: ფეხბურთის სტადიონი, საჭიდაო ან კრივის დარბაზები, მორიგი ბიბლიოთეკა თუ კულტურის სახლი ან კლუბი? საქართველო უფრო მძიმე მდგომარეობაშიც ყოფილა, მაგრამ დანგრეული უშენებიათ და არა უნგრევიათ. არ ვიცი რას ფიქრობს გორის ყოფილი გუბერნატორი ვარძელაშვილი, როცა მისი ყოფილი ხელქვეითი-თანამშრომლები ქართულ სპორტს ძირს უთხრიან? ნუთუ ის — ქართული სპორტის თავკაცი საქმის კურსში არ არის? თუ ეს ასეა, ანუ არ არის საქმის კურსში, კარგად ყოფილა ჩვენი სპორტის განვითარების საქმე, ჩვენი სპორტის მომავალი და ქვეყნის პერსპექტივა.

**თეიმურაზ დარჩიაშვილი,**
მწერალთა კავშირის წევრი.

მკითხველმა ლექსი შემოგვაჩვია

## N-ს

პირველ გრძნობას ვერ ვივიწყებ,
ვერაფერი ვერ შევცვალე,
კარგად უთქვამს ტრფობის მგოსანს,
მხოლოდ შენ ერთს გენაცვალე.
ორბელიანს ნინო სწვავდა,
გესიკს ანა მშვენიერი,
გალაკტიონს მერი ჰკლავდა,
შორს მყოფი და ბედნიერი.
მე კი შენ მკლავ, შენ მაწამე,
მოდი, გამოჩნდი, გელიო,
ჩემო მრისხანე ბატონო,
შენს განაჩენსაც ველიო.
სული შენთან, გული შენკენ,
სხეული კი სხვასთან რჩება.
ეს მოკლული გული შენგან
არასოდეს არ მორჩება.
სხვისი გრძნობით ამაყობდი,
კაცი იყავ ნებიერი,
ჩემი ბედი შენც გეწვია, —
ახლა მე ვარ ბედნიერი.
ვაი რომ გვიან მიგიხვდი
შენი სიცრუის ვნებასა,
თავს სინანული სჯობია
ბოლო ჟამს დანანებასა.
გავლიე წუთისოფელი
არც ვკვდები, არცა ვრჩებიო,
შენთვის ნათქვამსა სათქმელსა
გიწერ და გეთხოვებიო.
ამბობენ რომ სიყვარული
საიქიოს ერთურთს ხვდება
იქ მოვალ და იქა გნახავ,
თუ ეს რწმენა ამიხდება...

**თინა ცალქალამანიძე,**
პენსიონერი პედაგოგი.
ქ.თბილისი

მწარე სიტყვა

# ასხადდება „გასხადდება“?

## ანუ ვინ დამიწვა დაია?

**აბერ უკვე ორი-სამი თვეა დავეძებ ჩემს დაიას. დავეძებ და ვერ ვპოულობ! დავეძებ იმ ადამიანს, რომელმაც, როგორც ვიცი, მთავრობისადმი პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა! დიახ, თავი დაიწვა! და, ჩვენს აყვავებულ „გასინგაპურებულ“ ქვეყანაში, თითქოს, არაფერი მომხდარიყოს, ყველაფერი ჩაიფარცხა! მისი სახელი კი, სირცხვილად დააჩნდა საქართველოს — ნანა ფიფია!**

ვინ, რამ და რატომ აიძულა ეს ადამიანი ასე სასტიკად მოესწრაფა სიცოცხლე?

არის ათასი ვერსია, ათასი მითქმა-მოთქმა, მაგრამ არავინ არაფერი არ იცის. არავის არაფერი გაუგონია (თითქოს!ძ. სხვებს კი არა, ოჯახის წევრებსაც არ „ახსოვთო“, მითხრეს ლტოლვილთა სამინისტროსთან კარვებგაშლილმა ლტოლვილმა (თუ დევნილმაძ „პროტესტანტებმა“. არადა, სწორედ მათთვის ააგიზგიზა ჩემმა დაიკომ სასტიკი ცეცხლი, რათა მსოფლიოს ენახა რა მდგომარეობაში არიან საკუთარ, მშობლიურ ფუძეს მოწყვეტილი ადამიანები! მაგრამ რა გინდა, რა? ამბობენ, ძმა „მთავრობის“ კაციაო, ქმარი (მეუღლეძ რომელიღაც უნივერსიტეტში თუ ინსტიტუტში მუშაობსო და, ხალხთან და, მით უმეტეს ჟურნალისტებთან კონტაქტისგან „შორს იკავებენო თავს“! რატომ? იმიტომა, რომა როგორც ჭორიკნები ამბობენ, ალბათ, „ჩააჩუმათაო“ მთავრობამ ფულითა თუ მუქარით, „ვერცხლითა“ თუ „ბედნიერი ცხოვრების“ პირობით!

ვინ იცის, რომელია მართალი? მარა, ერთ-ერთი მაინც ხომ იქნება მართალი? წყალი არ გაუვა! თორემ, ჩემი გმირი დაიას იმ სურათს მაინც წაიღებდნენ „მოპროტესტე“ დევნილთა შტაბიდან, რომელიც იქ ინახება დღესაც!

ვაიმე, ჩემო ძვირფასო დაია, როგორ ყველამ დაგივიწყა! არადა, სწორედ ასეთ ფაქტს (ადამიანის დაწვა!ძ რა მოჰყა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში, მთელმა მსოფლიომ იცის! ჩვენ კი ვართ და „ჟვაჩკას“ ვღეჭავთ!

გუშინ თუ გუშინწინდლამ მესიზმრა, — სვანეთიდან ჩემი მოგვარეები ჩამოსულიყვნენ ზარითა და მოთქმით და ტრანსპარანტზე ასეთი რამ ეწერათ: — „ფიფიები და ფილფანები ერთი გვარისანი ვართ!“... მერე რა-მეთქი, ვკითხე. რა და ჩვენი სისხლი უქმად არ უნდა დაიღვაროსო, მითხრეს! განცხადება უნდა შევიტანოთო ღმერთთან, ქვეყანამ უნდა გაიგოსო რა მოხდა და ვინ გაწირაო ჩვენი დაია! მას ხომ მხოლოდ საკუთარი სიცოცხლე ჰქონდაო იარაღად გარეწრებთან საბრძოლველად?! თუ არა და!..

...გაიხარეთ სვანებო, მაგრამ რა სჭირთ ამ ფიფიებს, ხმას რომ არ იღებენ?

არ ვიცი! არ ვიცი, ხვალ რას მოგვიტანს ეს „თუ არადა“, როგორ ამიცხადდება ჩემი სიზმარი, მაგრამ ის კი ვიცი, — შესანიშნავი „საქონელია“ გულისტკივილი, სიყვარული და თავგანწირვის ძალა... თუ ის გაქვს!

**ზაალ ფიფია**

**შპს „თბილისის სააუქციონო სახლი“ ((ს/კ 204545974) მდებარე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71) მართავს პირველ საჯარო აუქციონს შ.პ.ს „ლუს 2“-ის (ს/კ 204567824) კუთვნილი მოძრავი ქონებების რეალიზაციის მიზნით. მოძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით სს ბანკ „რესპუბლიკის“ სასარგებლოდ მოვალის, სს „პრობლემური სესხების სააგენტო“-ს (ს/კ204556774) ფულადი ვალდებულების უზრუნველსაყოფად.**

აუქციონზე ერთ ლოტად გამოტანილი იქნება შემდეგი მოძრავი ქონება:

**ლოტი I:** ასფალტის ქარხანა bakema telmomat დაკომპლექტებული (გამოშვების წელი 1989 წ, მოდელი telmomat 100);

**ლოტი II:** მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, მოდელი - „კომაცუ WB93R-5“ სანომრე ნიშანი - CA707, საიდენტიფიკაციო ნომერი KMTWB014V77F52644, ძრავი 419412, სარეგისტრაციო მოწმობა AV3272795,

აუქციონის დანიშვნის საფუძველია:

1) კრედიტორის - სს „ბანკ რესპუბლიკას“ მომართვა;

2) 2009 წლის 1 ივლისის გირავნობის ხელშეკრულება №656374-1, 2008 წლის 4 იანვრის გირავნობის ხელშეკრულება №A-041 და 2010 წლის 06 დეკემბრის ხელშეკრულება სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 284-ე მუხლის შესაბამისად, გასაყიდი ქონების საწყისი ფასი პირველ აუქციონზე შეადგენს:

**პირველი ლოტისთვის** - 304440 ლარს დღგ-ს ჩათვლით და სააუქციონო მომსახურების საკომისიოს 9915,67 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ჯამში 314355.67 ლარს.

**მეორე ლოტისთვის** - 40412,23 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს დღგ-ს და სააუქციონო მომსახურების საკომისიოს (1212,23 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი) ჩათვლით.

აუქციონი ორივე ლოტისათვის გაიმართება მისამართზე: ვაჟა-ფშაველას 71, II სართული, 2011 წლის 21 აპრილს, 10:00სთ-ზე. ტელ: 207 307.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1) საბანკო გარანტია საწყისი თანხის 10%-ზე, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულ გადახდას (გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი სს „ბანკი რესპუბლიკა“);

2) აუქციონში მონაწილე პირის პირადობის მოწმობის ასლი;

3) მინდობილობა, თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირით (ფიზიკური პირის შემთხვევაში აუცილებელია მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება);

4) თუ აუქციონში მონაწილეობს იურიდიული პირი, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი და უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება მოძრავი ქონების შესყიდვაზე (თუკი წესდებით ანდა კანონით გათვალისწინებულია ამგვარი თანხმობის საჭიროება).

აუქციონზე მონაწილეობისათვის საბუთების მიღების ბოლო ვადად განისაზღვრა 2011 წლის 21 აპრილი, 09:30 საათი.

ყველა სხვა პირი, რომელსაც გააჩნია უფლებები აღნიშნულ მოძრავ ქონებაზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი დოკუმენტი და მტკიცებულებანი წარმოადგინოს აუქციონის დაწყებამდე, 2011 წლის 21 აპრილი 10:00სთ-მდე.

აუქციონზე გამარჯვებულმა პირმა მოძრავი ქონების ღირებულება (აუქციონზე დაფიქსირებული თანხა) სრულად უნდა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან 7 დღის განმავლობაში, ნასყიდობის თანხის ჩარიცხვით შპს „თბილისის სააუქციონო სახლის“ ანგარიშზე GE28BR0000010900938679, მომსახურე ბანკი: სს „ბანკ რესპუბლიკა“-ს ცენტრალური ფილიალი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსები აფხაზეთში მიწებს იტაცებენ?

**როდესაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ძალიან მცირე რაოდენობის ქვეყნებმა მიბაძეს მის მაგალითს, მაგრამ ამის მიუხედავად, სოხუმი ზეიმობდა და მადლიერების გრძნობით იყო განმსჭვალული**

დღეს ბევრი აფხაზი დაფიქრდა – ხომ არ აღმოჩნდება მოსკოვის მხარდაჭერის საფასური, ცოტა არ იყოს, ზედმეტად მაღალი?

ამ კვირას მოსკოვში საზღვრების დამდგენი რუსეთ-აფხაზეთის ერთობლივი კომისია შეიკრიბა. ტერიტორიის მცხოვრებლები სულ უფრო მეტად შფოთავენ იმ ცნობების გამო, რომელთა თანახმადაც რუსეთი ცდილობს აფხაზური ტერიტორიის 160 კვადრატული კილომეტრის ანექსირებას.

ოპოზიციური აფხაზური გაზეთი „ნოვი დენ“ თვის დასაწყისში იუწყებოდა, რომ რუსეთმა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას წინადადებით მიმართა და მას გაგრის რეგიონში ტერიტორიის ზოლის დათმობა სთხოვა.

ტერიტორია, რომელზეც ლაპარაკი მიდის, მდინარე ფსოუს მთიანი სივრცეა და სწორედ ის ქმნის აფხაზეთსა და რუსეთს შორის ბუნებრივ საზღვარს. ის რუსულ სათხილამურო კურორტ „კრასნაია პოლიანასთან“ სიახლოვეში მდებარეობს, ადგილთან რომელიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საკვანძო როლს ასრულებს.



რადიო RFE/RL „კავკასიის ექოს“ ეთერში გამოსვლისას (ეს რადიო მაუწყებლობს აფხაზეთსა და საქართველოს კიდევ ერთ სეპარატისტულ რეგიონში – სამხრეთ ოსეთშიძ, ცნობილმა სოხუმელმა ჟურნალისტმა ინალ ხაშიგმა განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, მოსკოვის წინადადება პირველი ნაბიჯია, რომელზეც საბოლოოდ უარს იტყვის მიწის უფრო პატარა მონაკვეთის, მდინარე ფსოუზე მდებარე აფხაზური სოფლის აიბგას დათმობის სანაცვლოდ.

მაგრამ ხაშიგის თქმით, ნებისმიერი ტერიტორიული დათმობა, მისი სიმცირის მიუხედავად, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისა და ტერიტორიის პოლიტიკური ელიტის უდრეკ წინააღმდეგობას გადააწყდება.

საზოგადოებრივი აზრი ეწინააღმდეგება არა მარტო 160 კვადრატული კილომეტრის, არამედ თუნდაც 10 კვადრატული მეტრის დათმობას. ეს პრინციპის საკითხია. ეს აფხაზური მიწაა და ჩვენ არ ვაპირებთ თუნდაც ერთი მეტრის ან კვადრატული მილის დათმობას. მე ვიყავი სოხუმის ცენტრში და ხალხი უკვე აგროვებს ხელმოწერებს ამის წინააღმდეგ. აფხაზური საზოგადოება ძალიანაა შეშფოთებული ამ ფაქტით.

მოგვიანებით „რადიო თავისუფლების“ რუსული სამსახურის ეთერში ხაშიგმა განაცხადა, რომ უთანხმოება აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს გამოუვალ ვითარებაში აყენებს:

ნებისმიერი ტერიტორიული დათმობა მისი მხრიდან შეიძლება ქვეყნის დესტაბილიზაციითა და მისი შესაძლო გადადგომით დასრულდეს, მაგრამ თუ (მოსკოვის მოთხოვნასძ არ დაჰყვა, რუსეთი შეიძლება განაწყენდეს და აქვე ბაღაფშს პრობლემა შეექმნება – აფხაზეთის ბიუჯეტის 70%-ს რუსული სუბსიდიები შეადგენს და თუ ბაღაფში ამას დაკარგავს, ყველაფერი ისევ მისი გადადგომით შეიძლება დასრულდეს.

თუ ყველაფერი ასე მოხდა, მართლაც ირონიული შემობრუნება იქნება. 2004 წელს აფხაზმა ამომრჩევლებმა უარი უთხრეს მოსკოვის მიერ შერჩეულ კანდიდატს, სუკის ყოფილ ოფიცერს რაულ ხაჯიმბას, რომელიც ბაღაფშმა სერიოზულად დაამარცხა.

„რადიო თავისუფლების“ რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში ივლიანე ხაინდრავამ, „განვითარებისა და თანამშრომლობის თბილისური ცენტრის“ სამხრეთ კავკასიის პროგრამების დირექტორმა განაცხადა, რომ ტერიტორიის მიტაცების მცდელობამ შეიძლება აფხაზებში ანტირუსული განწყობილებების ინტენსიფიკაცია გამოიწვიოს:

აფხაზური საზოგადოება იზრდება და არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს პროცესი თუ ის გაგრძელდება, უმტკივნეულო იქნება. შესაძლებელია ხალხმა აფხაზეთში გააცნობიეროს, რომ საფრთხე ჩრდილოეთიდან (რუსეთის საფრთხეძ შეიძლება უფრო სახიფათო იყოს, ვიდრე სამხრეთის (საქართველოსძ საფრთხე. რა თქმა უნდა, ეს უცბად არ მოხდება... მაგრამ აქცენტები თანდათანობით შეიცვლება.

რუსეთის ოფიციალურ პირებს საჯაროდ უთანხმოებაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

მაგრამ ამ ბოლო დროს რუსეთის დომინირებასთან დაკავშირებით გაჩენილი შიში ფაქტობრივად ახალი არ არის. 2009 წლის ივნისში მე აფხაზეთში ვიყავი და დაჩქარებული რუსიფიკაციის ნიშნები ყველგან ჩანდა.

მაგალითისთვის, აფხაზეთის მოსახლეობის 90%-ზე მეტს აფხაზური პასპორტები აქვთ. ტერიტორიის ოფიციალური ვალუტა რუსული რუბლია. რუსული ენა დომინანტური ენაა. ყველგანაა რუსული დროშები, სატელევიზიო ეთერში მთავარი რუსული ტელევიზიებია და რუსული გაზეთები საყოველთაოდაა გავრცელებული.

მოსკოვი სანავსადგურო ქალაქ ოჩამჩირეში საზღვაო ბაზას აშენებდა, რუსული ბიზნესი ნთქავდა სოხუმის სანაპირო ზოლზე განთავსებულ უძრავ ქონებას, რუსეთის სახელმწიფო კომპანია „როსნეფტმა“ აფხაზეთის საზღვაო ნავთობის საბადოების კვლევისა და დამუშავების უფლება მოიპოვა.

ხოლო საეჭვო პირობამ, რომელმაც აქ მომსახურე რუს ჯარისკაცებს ქონების შეძენის უფლება მისცა, ოპოზიციის გმინვა გამოიწვია.

„მას შემდეგ, რაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, რუსეთი გვნთქავს“, – მითხრა მაშინ ხაშიგმა – „ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სამხედრო თვალსაზრისით და სოციალურადაც. ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო დამოკიდებულები ვხდებით“.

ამავე დროს, ბევრი აფხაზი სიამაყით ჰყვება, თუ რამდენჯერ ატეხეს სისხლიანი ამბოხი მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მათმა წინაპრებმა. ყველაზე მასშტაბურები მათ შორის 1866 და 1877 წლებში იმით დასრულდა, რომ ასობით-ათასი აფხაზი დეპორტირებულ იქნა ძირითადად გაგრის იმ რეგიონიდან, რომელიც დღეს რუსეთის ცხოველი სურვილის ობიექტს წარმოადგენს.

# პირველად რუსეთის უახლოეს ისტორიაში ორდენით მთელი სამხედრო ნაწილი დაჯილდოვდა

**დიმიტრი მედვედევმა საჰაერო-სადესანტო ჯარების 45-ე პოლკი, რომელმაც სახელი გაითქვა ომების დროს ჩეჩნეთსა და სამხრეთ ოსეთში, კუტუზოვის ორდენით დააჯილდოვა. მეომრების წინაშე გამოსვლის დროს პრეზიდენტმა მოუწოდა, აღადგინონ წვევამდელი მომზადების სისტემა, აგრეთვე განაცხადა, რომ შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების შერეული სქემა შენარჩუნებული იქნება კიდევ მინიმუმ ათი წელი.**

ორშაბათს პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა კუტუზოვის 45-ე ცალკეული გვარდიის ალექსანდრე ნეველის ორდენოსანი გვარდიული პოლკი კუტუზოვის ორდენით დააჯილდოვა. პოლკი ითვლება საჰაერო-სადესანტო ჯარების სპეციალური დანიშნულების ნაწილად. მოსკოვის გარეუბან კუბინკაში პოლკის განკარგულებაში მოსვლის შემდეგ პრეზიდენტმა ჯერ ყვავილებით შეამკო საბრძოლო მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა მემორიალი, შემდეგ კი საზეიმო ცერემონიის დროს ჯილდო და ორდენის ლენტი მიამაგრა მის წინ დახრილ პოლკის დროშას.



ჯილდო მიენიჭა საბრძოლო მოვალეობათა წარმატებული შესრულებისა და ამ დროს გამოვლენილი პიროვნული მამაცობისა და გმირობისთვის. პოლკი არაერთგზის ლებულობდა მონაწილეობას ბრძოლებში ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ჩეჩნეთში, **ოპერაციაში საქართველოს სამშვიდობო იძულების დროს**. ერთი წლის წინათ მედესანტეები უზრუნველყოფდნენ რუსი სამხედროების ოჯახების უსაფრთხოებას ყირგიზეთში რევოლუციისა და ეროვნებათაშორისი კონფლიქტების დროს.

როდესაც მეომრების წინაშე გამოდიოდა პოლკის დაჯილდოების დროს მედვედევმა აღნიშნა, რომ თანამედროვე ისტორიაში ასეთი დაჯილდოება ხდება პირველად. „მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად ორდენი გადაეცემა პიროვნული დამსახურებებისთვის, ასე იქნება, რასაკვირველია, სამომავლოდაც, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში გამართლებულია საბრძოლო ნაწილების დაჯილდოებაც“, – თქვა მან.

მედვედევმა აღნიშნა, რომ საბრძოლო გზის თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში 2 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურის დამსახურება აღინიშნა ორდენებითა და მედლებით. 10 მათგანს მიენიჭა რუსეთის გმირის წოდება. იდეალებისადმი ერთგულებამ, მისი სიტყვებით, ხელი შეუწყო მედესანტეების გამარჯვებას დიდი სამამულო ომის ფრონტზეც და ავღანეთშიც, აგრეთვე გაეწიათ წინააღმდეგობა ტერორისტებისთვის ჩრდილოეთ კავკასიაში. „თქვენი ქვედანაყოფი – ყველაზე ახალგაზრდაა საჰაერო-სადესანტო ჯარების შემადგენლობაში, მაგრამ თქვენ ერთგულად მიჰყვებით მედესანტეების მრავალწლიან ტრადიციებს“, – თქვა პრეზიდენტმა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ 45-ე პოლკის მედესანტეები იძლევიან ნიმუშს თანამედროვე შეიარაღების და საბრძოლო მომზადების მეთოდების ათვისებაში.

## დედამიწის ზურგზე



**რადიაქტიურ წყალს იაპონიის ატომური ელექტროსადგურიდან ზღვაში უშვებენ. რუსეთი მზად არის, დაეხმაროს მაშველ დანადგარ „ლანდიშით“**

სახელმწიფო კორპორაცია „როსატომი“ აპირებს, იაპონიის მხარესთან ერთად განიხილოს საკითხი თხევადი რადიაქტიური ნარჩენების გადასამუშავებელი მოწყობილობის „ლანდიშის“ გადაცემის შესახებ. ადრე ეს მოწყობილობა აიგო იაპონიის ფულით პროგრამა „გლობალური პარტნიორობის“ ფარგლებში. ამას გარდა, რუსეთი იაპონიაში გაგზავნის 400 დეზიმეტრს და 5 ათას ნიღაბს ატომური ელექტროსადგურის პერსონალისთვის.

* * *

**ხომალდი „გაგარინი“ სამი კოსმონავტით დედამიწის ორბიტაზე გაიყვანეს**



ხომალდის ბორტზე იმყოფება მორიგი ექსპედიცია კოსმონავტების ალექსანდრ სამოპუტიაევის და ანდრეი ბორისენკოს – ისინი როსკოსმოსის კოსმონავტები არიან, აგრეთვე „ნასას“ ასტრონავტის რონალდ გარანის შემადგენლობით. ხომალდის შეერთება რუსეთის მოდულ „პოისკთან“ გათვალისწინებულია 7 აპრილისთვის.

* * *

**აშშ-მა გააუქმა სანქციები ლიბიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ, რომელიც კადაფის გამოექცა**



სანქციები მუსა კუსასა და იმ 16 კომპანიისა და ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომლებიც ტრიპოლიში ამჟამინდელ მთავრობას ეკუთვნიან ანდა მათ მიერ კონტროლდებიან, შემოიღეს 15 მარტს. ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს გააფართოოს ლიბიის იმ მოქალაქეთა ჩამონათვალი, რომლებზეც არის სანქციები დაწესებული. ამით მას იმედი აქვს, რომ კუსას მაგალითი წაახალისებს სხვებსაც, დატოვონ კადაფი.

* * *

**კადაფის სამედიცინო დამ ისაუბრა ლაღი ცხოვრების შესახებ პაპასთან, რომელიც ფულს უხვად აფრქვევდა**



ამის შესახებ ისაუბრა ერთ-ერთმა უკრაინელმა სამედიცინო დამ – კადაფის „მთავარმა“ სამედიცინო დამ – არა გალინა კოლოტნიცკაიამ, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, არამედ ვილაც დრაგამ სერბეთიდან. მედიცინის დის სიტყვებით, კადაფის შესაშური ჯანმრთელობა აქვს.

სულიერება

# როგორ „აკურთხა“ წმინდა მატრონამ სტალინი

**წმინდა მატრონა მოსკოველის წმინდანობაზე პარაზიტირებას ახდენს „მართლმადიდებელი სტალინიზმი“, რომელიც მთელი რიგი ექსტრემისტული დაჯგუფებების იდეოლოგიად იქცა**



მატრონა მოსკოველის ხსოვნის დღე საეკლესიო კალენდრით 19 აპრილია (ახალი სტილით – 2 მაისი). თანამედროვე არაჩვეულებრივად თაყვანსაცემი წმინდანის სიცოცხლეში, ის 1952 წელს გარდაიცვალა, ხმები და ლეგენდები შეიძინა, ზოგჯერ უცნაური და უაზრო. ამ მონაგონებზე დღეს იქმნება სხვადასხვა ულტრების სექტები და დაჯგუფებები.

## სტალინის ისარი და წმინდანი

ვერცხლის კოლოფი ნეტარი მოხუცის წმინდა ნაწილებით დგას პოკროვსკის სტავროპიგიულ ქალთა მონასტერში მოსკოვში, აბელმანის კარიბჭის მახლობლად. კილომეტრის სიგრძის რიგი იწყება ჯერ კიდევ ტაგანკის პარკში, ან როგორც მას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ეძახდნენ, „ამხანაგ ბუხარინის სახელობის ტრამვაის დეპოს პარკში“. გარს უვლის შთამბეჭდავი ზომის ვოსკრესენსკის ტაძარს და შედის პოკროვსკის ეკლესიის ეზოში. უკან სამსაათიანი დგომაა ღია ცის ქვეშ: აუტანელი სიცხე იქნება თუ ძლიერი ყინვა – ვის როგორ მოუსწრებს ბუნების კაპრიზები. კოლოფის წინ მლოცველი თავს ხრის, იწერს პირჯვარს და კოცნის კიდობანს წმინდა მატრონას ნაწილებით.

დაინახავთ: ყოველდღიურად წმინდა სალოცავს ეამბორება დაახლოებით ხუთი ათასი კაცი, საეკლესიო დღესასწაულების დღეებში – ოცი ათასამდე. წელიწადში დედა მატრონასთან ამრიგად მოდის ორ მილიონამდე კაცი. სულ მოხუცის წმინდანად მიკუთვნების დროიდან, 1999 წლიდან, აქ იყო 17-18 მილიონი ადამიანი! სულის სიღრმეში ყველა რაღაც წმინდა სასწაულს ელოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, მათ შორის ბევრი იყო ისეთი, ვისაც გაუეკლესიელებს უწოდებენ...

ასე გაჩნდა რუსეთში, სადღაც კოლცოს იქით, უსახო მრავალსართულიან სახლებს შორის სახალხო თაყვანისცემის ცენტრი. ალბათ, წმინდა ბრბოების ასეთი მასშტაბის გამოვლინებაზე ოცნებობდნენ ბოლშევიკი კომისრები, როდესაც წითელ მოედანზე ლენინის მავზოლეუმისკენ მიუყვებოდათ ხალხი. თავის დროზე განაგრძელდა – მოახდინეს ლენინის სხეულის ბალზამირება – ბასცა სტალინმა. პიროვნების კულტის შემქმნელი კომუნისტური რეჟიმის ჩანერგვას რელიგიური ბლებულის შეცვლაზე ასე ვარაუდობდა. ახლა პატარა მოცულობის მავზოლეუმი, გრანიტის პირამიდაში იშვიათად, წლიდწლამდე ორ-სამჯერ მოდიან ზიუგანოველები პიონერებთან ერთად, აქ მოდის ახლა მხოლოდ რამდენიმე ასეული ცნობისმოყვარე, რათა შეხედოს „უხრწნელ“ ღირსშესანიშნაობას.

წმინდა მატრონა სტალინს შეხვდა... ხატზე. ეს ხატი შეუკვეთა იღუმენმა ევსტაფიმ (ჟაკოვმა), წმინდა მოციქულთასწორი დედოფლის ოლგას ეკლესიის მოძღვარმა დაბა სტრელნაში, მდინარე სტრელკაზე, სადაც ოდესღაც დიდი მთავრების რეზიდენციები გვერდით იყო პეტერბურგის ინტელიგენციის აგარაკები. მღვდელმსახურმა მხატვრისგან მოითხოვა დიდი „მონუმენტალური ამხანაგ სტალინის ფიგურაში“. მხატვარმა ხატი ორჯერ გადაწერა: ვერაფრით ვერ ახერხებდა პორტრეტული მსგავსების მიღწევას. სხვაგვარად როგორ შეიძლება? მთავარი – ეპარქიაში პატივსაცემი ფიგურაა, უხუცესი, ვისი ძალისხმევითაც აღდგა არაერთი ეკლესია. თანაც გადახდილია 35 ათასი – საოლქო საზომით საკმაოდ დიდი თანხაა...

და აი ციტატა მოგვყავს ორიგინალის რედაქციით: „თავის მარჯვნივ შინელში, როგორც ის დაიმახსოვრა მილიონობით საბჭოთა ადამიანმა, მოგჩერებიათ ჩაფიქრებული და ღრმა თვალებით სქელი წარბების ქვემოდან. მის გვერდით წმინდანია. მატრონა მოსკოველი შარავანდედით თავის ირგვლივ შუქს ჰფენს წითელ კეისარს ჯვრის დროშით“ – ასე აცნობა გაზეთ „ზავტრას“ მოშკორმა ამ შეხვედრის შესახებ. ხატს ეწოდებოდა – „ნეტარი მატრონა მოსკოველი ლოცავს ბელადს“, თუმცა დიქტატორის ამაყი ფიგურა წინა პლანზეა წამოწეული და ზურგით დგას წმინდანთან. თემა აიტაცეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა.

– ციურის გარდა მე ორი მამა მყავდა: ერთი – სისხლისა და ხორცის, მეორე – ხალხის მამა. გრძნობა, რომ სტალინი ხალხთა მამაა, ის ნაწილობრივ ჩემი მაღალი მამაა, არ მტოვებდა მთელი ცხოვრების მანძილზე, – უბნობდა მამა ევსტაფი გაზეთის მუშაკებს.

მოულოდნელმა უცნაური განვითარებით, „წმინდა იოსების ხატის“ გამოჩენასთან ერთდროულად სანქტ-პეტერბურგის კომუნისტებმა მიმართეს პატრიარქს მოთხოვნით, მოახდინოს სტალინის კანონიზირება.

## საინტერესო

### სკანდალი გაჩაღდა!

2008 წლის ბოლოს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობამ გაკიცხა სტრელნეში ეკლესიის წინამძღვარი: „კლიკოსმა დაუშვა დისციპლინარული დარღვევა, როდესაც ტაძარში მოათავსა არაკანონიზირებული სახე“. იღუმენმა ევსტაფიმ (ჟაკოვმაძ დაწერა თხოვნა წინამძღვრის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ და ნეტარი მატრონას ხატი სტალინის გამოსახულებით ტაძრიდან თავის სახლში გადაასვენა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 2009 წლის ნოემბერში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმა წერილი გაუგზავნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს. „რასაც დღეს სტალინის დანაშაულები ეწოდება – იმ დროის კონტექსტში ჰქონდა ფარული, ისტორიულად დეტერმინირებული აზრი... სტალინისთვის ქვების მსროლელი უსათუოდ მოხვდება ჩვენი ქვეყნის დიდ ისტორიაში“, წმინდა წერილზე მითითებით წერდა ხანდაზმული მღვდელი, განათლებით ექიმი, რომელმაც 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფილოსოფიაში. წერილი დაიწერა „წმინდა მოციქულთასწორი დედოფლის ოლგას ეკლესიის სამრევლოს საბჭოს თავმჯდომარის იღუმენ ევსტაფის (ჟაკოვისძ ბლანკზე და მას ესვა კლირიკოსის ბეჭედი...

### წითელი მამალი

– ეს ხატი მატრონა მოსკოველის ყოფითი ხატის სულ რაღაც გადიდებული ბეჭედია, – არცთუ დიდი გულწრფელობით გამოხატავდა თავის გაოცებას იღუმენი ევსტაფი. აშკარად იგრძნობოდა, რომ ამით ის პრესის თავდასხმების აცილებას აპირებდა.

ცხოვრების ხატის ცენტრში აისახება წმინდანი, გვერდებზე – სცენები მისი ცხოვრებიდან, ან ანაბეჭდიდან. ამ ანაბეჭდებისთვის სიუჟეტებს ხატმწერი არჩევს ისე, რომ შეიქმნას წმინდანის დიდების გვირგვინი მისი სასწაულებიდან და ცხოვრების გარდამტეხი მოვლენებიდან. და, რასაკვირველია, მღვდელი ფორმალურად მართალი იყო. ამ დროისთვის ნეტარი მოხუცი მატრონას ცხოვრების აღწერა მრავალათასიანი ტირაჟით გამოიცემოდა ხოლმე. მე, მაგალითად, პოკროვის მონასტერში შევიძინე „ნეტარი მოხუცი მატრონას ცხოვრება და სასწაულები“, რომელსაც სატიტულო ფურცელზე ჰქონდა მოსკოვისა და მთელი რუსეთის აწ გარდაცვლილი პატრიარქის ალექსი II-ის კურთხევა, ფოტოპორტრეტი და ფაქსიმილური ხელმოწერა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ერთხელ დედაომ (მატრონამძ როგორღაც თქვა: „ვინ იცის, იქნებ უფალმა შეუნდოს სტალინს. ის თავად იყო ტყვე“. მე შევეკითხე: „ვისი ტყვე?“ მან მიპასუხა: „კაგანოვიჩისა და ყველა მათი! მათ შებორკეს იგი ყველა მხრიდან, ისინი მასზე არიან ჩამოკიდებული, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ, თრგუნავენ მას. მას უყვარს რუსეთი, მთელი თავისი სული მან ომში ჩადო.

დედა მატრონა ხშირად გვიჩვენებდა ხოლმე, სტალინი სიკვდილის წინ როგორ დაიყვირებდა: „რას ჩადიხართ, რას ჩადიხართ!“ საწოლის ერთ მხარეს იქნება კაგანოვიჩი, მეორე მხარეს – მისი და. „რას მიშვებით?“ ისინი მას ბალიშებს დააფარებენ. მატრონამ ეს 1943 წელს თქვა.

ადრე მომისმენია, რომ სტალინი იყო მატრონასთან, მაგრამ არ დავუჯერე. აი ამ ცოტა ხნის წინათ კი დედაოს საფლავზე მოვიდა ასე 80 წლის ქალი, რომელიც ადრე სოფელ სებინოში ცხოვრობდა. აი რა გვიამბო მან იმის შესახებ, თუ ომის დროს როგორ მივიდა მასთან სტალინი: „ომის დროს ჩემ შვილს პროდუქტები მიჰქონდა ხოლმე მანქანით კრემლში. და ერთხელ, როდესაც სტალინი დაინახა, მოიკრიფა სითამამე და უთხრა მას: „იოსებ ბესარიონის ძევ, გინდათ გაიგოთ, ვინ მოიგებს ომს? არის შორსმჭვრეტელი ქალი, რომელსაც შეუძლია ყველაფერი გითხრათ. ის ცხოვრობს მისამართზე: არბატი, სტაროკონიუშენის შესახვევი“.



„ნეტარი მატრონა მოსკოველი აკურთხებს ბელადს“. ეს ხატი შეუკვეთა იღუმენმა ევსტაფიმ (ჟაკოვმა), ახლა უკვე მოციქულთასწორი დედოფლის ოლგას ეკლესიის ყოფილმა მოძღვარმა დაბა სტრელნაში, მდინარე სტრელკაზე სანქტ-პეტერბურგთან

და მალე სტალინი მართლა ეწვია ნეტარ მატრონას. ეს იყო 1941 წელს. ნეტარმა მატრონამ მიიღო იგი და მარჯვენა მხარზე დაჰკრა ხელი: „გაიმარჯვებს წითელი მამალი. გამარჯვება შენ დაგრჩება. ხალხი გაიმარჯვებს. შენ ერთი ხელმძღვანელობიდან არ დატოვებ მოსკოვს“.

ეს გამოცემა, რომელშიც სტალინი უბრალოდ მივიდა შორსმჭვრეტელთან რჩევისთვის, გამოვიდა პოკროვის მონასტრის იღუმენია თეოფანიას (მისკინასძ რედაქციით. სხვა წიგნში მატრონას შეხვედრა სტალინთან აღწერილია რუსული ბილინების სულისკვეთებით: „არ შემიძლია კომენტარი გავუკეთო ამ ცნობებს – იყო ეს ამბები თუ არა. მაგრამ ხალხში ამას ყვებიან. მატრონუშკასთან ოთახში არბატზე სტაროკონიუშენის შესახვევში 1942 წლის შემოდგომაზე მივიდა სტალინი. მას უთხრეს, რომ მოსკოვში ცხოვრობს ნეტარი წინასწარმჭვრეტელი მოხუცი მატრონა, რომელიც თავისი ცოდვით ქალაქს იცავს, მტერს არ აძლევს მასში შესვლის საშუალებას. და სტალინიც წავიდა რჩევის საკითხავად, ის, როგორც კუტუზოვი, ისე ხომ ჩააბარებდა მოსკოვს. ლეგენდის მიხედვით, მატრონუშკამ, დალოცა იგი, ურჩია მოეკრიფა სულისკვეთება და ძალა (სერგეი რადონეჟსკიმ ასე დალოცა დიმიტრი დონსკოი კულიკოვის ბრძოლის წინძ.

მან თავისი პატარა მსუქანი მუშტი მიუკაკუნა ყველა დროისა და ხალხის ბელადს შუბლზე და უთხრა: მოსკოვი არ ჩააბარო, იფიქრე, იფიქრე, და როცა ალექსანდრე ნეველი მოვა, ყველას გაიყოლიებს თან. ჩვენი ყველა ციური ჯარი დაგეხმარება. წითელი მამალი შავს ჩაჰკრავს ნისკარტს. შენ დაგეხმარებიან გაჰფანტო სატანის ღრუბლები“.

ამ ტექსტში სტალინი წარმოჩენილია ეთნიკურ გმირად, წმინდანების დიმიტრი დონსკოისა და ალექსანდრე ნეველის თანაბრად. წითელი მამლის გამარჯვების წინასწარმეტყველება – გლეხური ფოლკლორის ტიპურია, როგორც, მაგალითად, ასეთი: „ომის დროს ლუგანსკში ქალმა ბიბლიაში ამოიკითხა, რომ წითელი მამალი თეთრს დაამარცხებს: წითელი მამალი – ჩვენ ვართ, თეთრი – გერმანელი“.

ეს ფოლკლორული მამლები გახდნენ კიდეც საფუძველი სიუჟეტისა ხატისთვის როგორ „ლოცავდა მატრონა სტალინს“. ამ ხატისადმი ეკლესიის ოფიციალური დამოკიდებულება გამოხატა იერობერმონაზონმა იობმა (გუმეროვმაძ, რომელიც ჯერ კიდევ 1997 წელს იწყებდა მასალების მომზადებას მოხუცი მატრონა დიმიტრის ასულ ნიკონოვას დიდებით შემოსვლისთვის. „არის მითი, რომ სტალინი მიდიოდა ნეტარ მატრონასთან. ამის ვარაუდი სრულიად შეუძლებელია იქიდან, რაც ჩვენ ვიცით ამ გასაოცარი წმინდანის ცხოვრებიდან. ცნობებს მისი ცხოვრებიდან ნამცეც-ნამცეც ვაგროვებდით. არ არის არაფერი, რაც დაადასტურებდა მასთან სტალინის მისვლას. მას სდევნიდნენ. ყოველ წუთს ელოდებოდა დაპატიმრებას. ასეთი ვითარება რჩებოდა მის სიკვდილამდე“, – დარწმუნებულია მღვდელი. და მართლაც, სიუჟეტი სტალინთან წმინდანის შეხვედრის შესახებ არ შესულა მატრონას ცხოვრების ოფიციალურ ვარიანტში, მისი კანონიზაციისთვის რომ გამოიცა.

მაშინ, გამოდის, რომ ეკლესიას არ შეუძლია გააკონტროლოს საკუთარი გამომცემლობის საქმიანობა? უდიდესი მოხუცის საგანგებო პოპულარობა წარმოქმნის დიდ მოთხოვნას წიგნებზე მის შესახებ, საეკლესიო იერარქის კურთხევა არის მხოლოდ ვანიეტი, პოლიგრაფიული სამკაული. სხვათა შორის, სკანდალის პიკი სტრელნიელი იღუმენის გარშემო დაემთხვა უკანასკნელ კვირეებს ინტერნეტ-კენჭისყრისა – „რუსეთის სახელი. ისტორიული არჩევანი 2008, კრემლის მასშტაბურ პიარ-აქციას, პოლიტიკოსებისთვის განუჭვრეტელი შედეგებით. რუსეთის 50 ისტორიული მოღვაწიდან უნდა შერჩეულიყო სამი. სტალინმა მესამე ადგილი დაიკავა, გამარჯვებულს თავად ალექსანდრ ნეველის, ოფიციალური მონაცემებით, საბჭოთა ბელადი ერთზე ნაკლები პროცენტით ჩამორჩა...

**ალექსეი ჩელნოკოვი**

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

***რედაქციისგან:*** *სტატიის მეორე ნაწილში საუბარია წმინდა მატრონას პირად ცხოვრებაზე, მის წინასწარმეტყველებებზე, შეხვედრებზე სხვადასხვა ცნობილ ადამიანებთან.*

*მატრონა დაიბადა უსინათლო და, რაც მეტად იშვიათია, მას თვალის კაკლებიც არ ჰქონდა.*

*სტატიის ამავე ნაწილში არის ადგილები, სადაც წმინდა მატრონა საუბრობს სტალინის შესახებ, დიდი სიმპათიებით, მიუთითებს თითქოსდა მის ღვთიურ წარმომავლობაზე.*

*თუმცა აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს სტატიის ავტორის აშკარა ტენდენციურობაზე, რასაც მკითხველი უსათუოდ ისედაც შეამჩნევდა – მარტო ზემოხსენებული ხატის ავტორისეული აღწერა რად ღირს. ის წერს, რომ ხატზე სტალინი თითქოს წმინდანისადმი ზურგით დგას.*

*წიგნში ნეტარი მატრონას შესახებ, და ეს ციტატად მოჰყავს ავტორს, აღნიშნულია: „ღმერთმა აირჩია სტალინი, რათა დაესაჯა ურწმუნო რუსი ხალხი“. შემდეგ: „იოსები სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, იყო ყველაზე ნიჭიერი მოსწავლე... როგორც საუკეთესო მოსწავლე, გაამწესეს თბილისში! შემოდგომაზე, როდესაც სწავლის დამთავრების შესახებ ვერ დაინახეს სოსო (ახლობლები მას ასე ეძახდნენ), ისინი დედამისს შეეკითხნენ: „სად არის შენი შვილი?“ მან ამაყად უპასუხა: „მას ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: წადი, გადაარჩინე რუსეთი“. ღვთისმოსავმა, ღვთისმოშიშმა იოსებმა უმალვე მიიღო გადაწყვეტილება: დაანება თავი სემინარიას და წავიდა დახმარებოდა მეფეს ბოლშევიკებისა და მასონების გამოაშკარავებაში“.*

ძიუდო

# ისევ უხვი ნადავლით



**ამას წინათ გიორგი ვაზაგაშვილის გაწვრთნილმა ჭაბუკმა ძიუდოსტებმა ანტალიაში ევროპის თასზე 5 ოქროს, ამდენივე ბრინჯაოს და 4 ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ვაზაგაშვილის შეგირდებმა ისევ გვასახელეს, ამჯერად კიევში თანატოლთა ევროპის თასის გათამაშებაზე. 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო – ასეთია მათი მონაგარი.**

უკრაინის დედაქალაქის ტატამზე 73 და 90 კილოგრამ წონით კატეგორიებში ქართული ფინალები გაიმართა. ლევან გუგავამ (73კ გადამწყვეტ პაექრობაში თანაგუნდელ ბექა დოლვანს აჯობა, შალვა ჩოჩელმა (90კ კი გურამ თუშიშვილს სძლია. 66 კილოში კვარცხლბეკზე სულაც სამი ქართველი ავიდა – პირველი იყო გიორგი მუზაშვილი, ბრინჯაო კი აპოლონ ზურაბიანსა და ვანო ჩურჩხელაშვილს ხვდათ. ასევე მესამე ადგილს დასჯერდა ბექა ღვინიაშვილი. მეოთხე ოქროს მედალი საქართველოს ნაკრებს, რომელმაც გუნდური პირველი ადგილი დაიკავა, თამაზ კირაკოზაშვილმა (60კ მოუტანა.

ჭაბუკი ძიუდოისტები 24-26 ივნისს მალტაში ევროპის პირველობაზე იჭიდავებენ, 11-14 აგვისტოს კი კიევში მსოფლიო პირველობაზე მოსინჯავენ ძალებს. ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ზაფხულში ბოლო შეკრებისას გაირკვევა.

**ლაშა დიდია**

ჭადრაკი

# ჩემპიონთა იუბილეების აღსანიშნავად



**ბრძენთა თამაშის მოყვარულებისთვის ცნობილია, რომ 6-18 მაისს თბილისი „შერატონ მეტეხი პალასში“ მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომლის საპრიზო ფონდია 110 ათასი ევრო, საქართველოს დედაქალაქში თამაშის სურვილი უკვე გამოთქვეს სხვადასხვა წლების კონტინენტის ჩემპიონებმა – ტატიანა კოსინცევამ (რუსეთიძ, კატერინა ლახნომ, ნატალია ჟუკოვამ (ორივე – უკრაინაძ, პია კრამლინგმა (შვედეთიძ, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ალექსანდრა კოსტენიუკმა (რუსეთიძ, ასევე, ნადეჟდა კოსინცევამ (რუსეთიძ, ანა მუზიჩუკმა, ვიქტორია ჩმილიტემ (ლიტვაძ და სხვა ცნობილმა უცხოელმა დიდოსტატებმა, რომ არაფერი ვთქვათ მასპინძლებზე.**

ამას წინათ ფრანგულ ექს-ლე-ბენში გამართულ ევროპის საჭადრაკო კავშირის კონგრესზე გადაწყდა, რომ 20-21 მაისს ქუთაისი სწრაფ ჭადრაკში კონტინენტის პირველობას უმასპინძლებს. მისი საპრიზო ფონდი იქნება 10 ათასი ევრო. შეჯიბრება განახლებულ ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება. ორივე ჩემპიონატი მსოფლიოს ხუთხუთგზის ჩემპიონების – ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის იუბილეებს ეძღვნება.

**ლექსო ცინცაძე**

რაგბი

# სტარტზევე რუსებს დაუპირისპირდებიან



**საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრები საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც 16 აპრილიდან ევროპის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში ითამაშებს. მეოთხედფინალში მისი მეტოქე იქნება რუსეთის ნაკრები. ამავე დღეს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად იბრძოლებენ: შოტლანდია – რუმინეთი, იტალია – პორტუგალია, ბელგია – გერმანია. ახალგაზრდა ბორჯღალოსნები წარმატების შემთხვევაში 19 აპრილს იტალია – პორტუგალიას შორის უძლიერესს დაუპირისპირდებიან. ფინალური პაექრობა 23 აპრილს არის დაგეგმილი.**

საქართველოს ნაკრები სამფეროვანთა ქვეყანაში ლევან მგელაძის ხელმძღვანელობით ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: საბა ნიკოლავა, ნიკოლოზ ხუხაშვილი, გიორგი სორდია, თამაზ მჭედლიძე, დავით ხიდეშელი, მერაბ შარიქაძე, ვაჟა ხუციშვილი, გიორგი აფციაური, გიორგი მჭედლიშვილი, გიორგი ტალახაძე, ლაშა მოსეშვილი, საბა შუბითიძე, ზურაბ თუთბერიძე, თორნიკე ჯიბლაძე, გიორგი ლომთაძე, გიორგი თეთრაშვილი, ნოდარ მარდალეიშვილი, ვახტანგ ახობაძე, ნიკოლოზ პინაიშვილი, მურთაზ გიორგაძე, გიორგი ბასილაია, ბესარიონ შენგელია, რატი ასათიანი, გიორგი ნათელაშვილი, გიორგი ფრუიძე, თამაზ ოლხიაშვილი. ჩვენი ბიჭები საფრანგეთში გაივლიან საწვრთნელ შეკრებას და იქვე ორ საკონტროლო შეხვედრასაც გამართავენ.

# „არმიამ“ „ლოკომოტივი“ გზიდან ჩამოიცილა



**მორაგბეთა საქართველოს თასის გათამაშებაში მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა. ასპარეზობის დებიუტანტმა – თბილისის „არმიამ“ ქვეყნის ჩემპიონი „ლოკომოტივი“ დაამარცხა – 11:9 და ნახევარფინალში გავიდა, სადაც 25 ივნისს ქუთაისის „აიას“ დაუპირისპირდება.** რიონისპირელებმა ვანში რუსთავის „ხარებს“ გადაურბინეს – 50:0. საქართველოს თასის მფლობელ „ლელოს“ უბრძოლველად ერგო ნახევარფინალისტობა, რადგან „არმაზმა“ მეოთხედფინალში თამაშზე უარი თქვა. „ლელოს“ მეტოქეობას გაუწევს „ყოჩები“. ამ უკანასკნელმა „აკადემიასთან“ პაექრობა ფრედ დაამთავრა – 9:9. რადგანაც გუნდებს ლელო არ გაუტანიათ და არც წითელ-ყვითელი ბარათები მიუღიათ, მომდევნო ეტაპზე უკეთესი რეიტინგის მქონე „ყოჩები“ გავიდა.

**გივი გაგუა**

ინტერნეტიდან

## ფიფას სათავეებისკენ



**როგორც ცნობილი გახდა, წლევანდელ 1 ივნისს ციურიხში გაიმართება მსოფლიო ფეხბურთის თავკაცის – ფიფას პრეზიდენტის არჩევნები. ფიფამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მომავალი არჩევნებისთვის რეგისტრირებულია მხოლოდ ორი კანდიდატი – ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ახლანდელი მეთაური, შვეიცარიელი იოზეფ ბლატერი და ფეხბურთის აზიის კონფედერაციის ხელმძღვანელი, ყატარელი მოჰამედ ბინ ჰამამი.**

კანდიდატების რეგისტრაციის ვადა გასულ პარასკევს, 1 აპრილს ამოიწურა. ამბობდნენ, რომ ფიფას პრეზიდენტობას აპირებდნენ ამერიკელი ჟურნალისტი გრანტ უოლი და ჩილეს ნაკრების ყოფილი კაპიტანი ელიას ფიგეროა. პარველმა ვერ მოიპოვა ვერც ერთი ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერა, მეორემ კი ვერ შეძლო დამაჯერებელი საპრეზიდენტო პროგრამის შექმნა.

75 წლის ზეპ ბლატერი 1981 წლიდან 1998 წლამდე მუშაობდა ფიფას გენერალურ მდივნად, 1998 წელს კი გახდა ფიფას პრეზიდენტი, შეცვალა რა ბრაზილიელი ჟოაო აველანჟი ამ თანამდებობაზე ორჯერ, 2002 და 2007 წელს გადაირჩიეს. 61 წლის ბინ ჰამამი 1996 წლიდან ფიფას აღმასკომის წევრია. ბევრს მიაჩნია, რომ მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლად ყატარის არჩევნებში. ის ადრე მხარს უჭერდა ბლატერს, ახლა კი მიაჩნია, რომ ფიფაში საჭიროა ცვლილებები.

## მრბოლი ტრასაზე დაიღუპა

**სერიოზული ავარიის შემდეგ „შევროლე მონტანას თასზე“ რბოლის დროს დაიღუპა 29 წლის ბრაზილიელი მრბოლი გუსტავო სონდერმანი. რბოლა მიმდინარეობდა კვირას სან-პაულუს ცნობილ ავტოდრომ „ინტერლაგოსზე“.**



გადაულებელი წვიმის დროს ტრასის ბოლო მოსახვევზე გუსტავომ ვერ შეაკავა მანქანა, მას მეორე მრბოლი შეასკდა და ბრაზილიელმა თავის სასიკვდილო ტრავმა მიიღო. მართალია სამედიცინო სამსახურმა ოპერატიულად იმუშავა, მაგრამ მრბოლი ვერ გადაარჩინა. ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. საგულისხმოა, რომ ამავე ტრასაზე 2007 წელს ავარიაში დაიღუპა ამავე გუნდში სონდერმანის ყოფილი პარტნიორი რაფაელ სპერაფიკო.

## ვოზნიაცკიმ არ გაიხადა

**ალბათ ბევრს გაუკვირდებოდა ჩოგბურთში ახლანდელი პირველი ჩოგბურთელი ქალის კაროლინ ვოზნიაცკის უარი პოპულარული ჟურნალის Playboy შეთავაზებაზე, გაეხადა ჟურნალის ფოტოსესიისთვის. „მე არ ვაპირებ, გავიხადო აბსოლუტურად მთელი ტანსაცმელი“, – განაცხადა დანიელმა ჩოგბურთელმა ასეთი შეთავაზების კომენტარის დროს.**

ასეთივე აზრი გამოთქვა მისმა აგენტმა ჯონ ტობიასმა: „ის მხოლოდ 20 წლისაა, ჯერჯერობით არ ვაპირებთ ასეთი სახის ფოტოგადაღებებთან მის ახლო მიშვებასაც კი“.

როგორც ამბობენ, შესაძლოა, ვოზნიაცკის ასეთი გადაწყვეტილება სწორიც იყოს, მაგრამ არ შეიძლება



ჩვენს დროში ფოტოსურათების შეუფასებლობა. თუმცა კაროლინი თავისი შესანიშნავი გამარჯვებებით ეწერება ჩოგბურთის ისტორიაში, მაგრამ „პლეიბოის“ ფოტოსესია მის პოპულარობას არაფერს დააკლებდა.

ოლიმპიზმი

# მოგვიანებით დაიწყება

**ამას იტყობინებიან 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქიდან – ლონდონიდან. ასე გადაუწყვეტია ცნობილ ბრიტანელ კინორეჟისორს, ფილმისთვის „მილიონერი ჯურღმულებიდან“ რვა „ოსკარის“ მფლობელ დენი ბოილს, რომელსაც მიანდეს ოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიების მომზადება. – მისი აზრით, ამ დიდი სპორტული დღესასწაულის ეს დიდებული სანახაობა საათნახევრით გვიან უნდა დაიწყოს.** ბოილის თქმით, ეს „გრანდიოზული და ღრმა ისტორიული“ შოუ 27 ივლისს 19 საათსა და 30 წუთზე კი არა, მზის ჩასვლის შემდეგ, 20 საათსა და 55 წუთზე უნდა დაიწყოს, რადგან დღის სინათლეზე თავის დიდებულებას დაკარგავს მძლავრი ფეიერვერკები და სათანადო შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს მაყურებელზე.

თანაც 21 საათისთვის უნდა დამთავრდეს ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა ლონდონის ქუჩებში და სტადიონზე აინთება ოლიმპიური ჩირაღდანი, რაც გახდება დღემდე უნახავი ფეიერვერკის დაწყების სიგნალი.

ბოილის ასეთი გადაწყვეტილება დამატებით სიძნელეებს უქმნის საორგანიზაციო კომიტეტს – მას მოუწევს ახალი ბროშურებისა და გზამკვლევების გამოშვება ჩამოსული სტუმრებისა და ბილეთების მფლობელებისთვის. ლონდონის ტრანსპორტის სამმართველომ კი კორექტივები უნდა შეიტანოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობაში, რათა არ დაყოვნდეს თითქმის ერთი მილიონი ადამიანის გადაყვანა.

ჩვენი კარაბადინი

# როგორ ვენდე ჩინურ მედიცინას

## მე გადამარჩინეს გოჭმა, ნემსების გროვამ და გამხმარმა ქრიზანთემამ



ყველა წამალს თავისი დანიშნულება აქვს

**ჩინეთში გრიპის დროს არ არის რეკომენდებული ცხელი ჩაის დალევა — ეს დამატებით ასუსტებს ორგანიზმს. თაფლის გამოყენებაც არ შეიძლება. აი წითელი წიწაკა და ქონი — კი ბატონო, ყოველთვის მიირთვით.**

**ისე მოხდა, რომ მივლინების წინ ავად გავხდი. ზუსტად გაფრენის დღეს. თვითმფრინავში კიდევ უარესად გავხდი, ჰონკონგში კი ჩავწექი საზოლოოდ: ხველება, სურდო, ტემპერატურა. მეგობარმა მოსკოვიდან, მობილურზე როდესაც დამირეკა და ჩემი ჩახლეჩილი ხმა გაიგონა, გულით მირჩია: „ძმაო, შენ ხომ ჩინეთში ხარ. გამოსცადე შენს თავზე ტრადიციული ჩინური მედიცინა. მერე გვიამბე, მართლა ასე კარგია იგი“.**

### ზამთარში შეიძლება უსაქმურად იყო

**... ჰონკონგი — ბრიტანეთის ყოფილი კოლონიაა ევროპული ცხოვრების წესით. მაგრამ, გამოკითხვის თანახმად, ქალაქის მცხოვრებთა 70 (!) პროცენტს ანტიბიოტიკებს ნატურალური წამლები ურჩევნიათ.** მინი-ბაზრები გამხმარი ბალახით, მზეზე გამომხმარი ხვლიკებითა და ირმის რქებით — ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, ყველგან სავსეა მყიდველებით. ბუნებრივი მედიცინა, როგორც ჩვეულებრივიც, ფული ღირს. ექიმი პაციენტისგან ერთ მიღებაზე ღებულობს 50-დან 100-მდე ამერიკულ დოლარს — მომსახურება მათთან, ვისაც შეუძლია ბალახისგან რთული ნარევების დამზადება, ყველაზე ძვირი ღირს. როდესაც სასტუმროში შეაფასეს ჩემი გაცივების ხარისხი, მირჩიეს სპეციალისტი ხუ.

**წესი № 1.** ხაინანის კუნძულზე, ქალაქ დალიანში და პეკინში პოპულარულია რეკლამა სახელწოდებით „ვმკურნალობთ ჩინური მედიცინით“. გაიძვერები თეთრ ხალათებში ტურისტების გასინჯვას წარმოაჩენენ და უწერენ წამალს 20-ჯერ (!) უფრო მაღალ ფასებში, ვიდრე აფთიაქში: „მკურნალობის“ კურსი 800 დოლარიდან იწყება. უმჯობესია მიხვიდე კლინიკაში, სადაც თავად ჩინელები მკურნალობენ — თუმცა, რასაკვირველია, იქ უთარჯიმნოდ არაფერი გამოგივა.

ექიმი ხუ სამოცდაათი წლის მოხუცი აღმოჩნდა. პატარა ოფისი ლამის ჭერამდე იყო სავსე ქილებით, რომლებშიც ბალახი იყო — მათი სუნი ქუჩაშიც კი იგრძნობოდა. მან აიღო ჩემი ხელი ხელში და დაიწყო მისი გასინჯვა: ჩინეთში მიღებულია ავადმყოფობის განსაზღვრა პულსით.

— გრიპია, — თქვა ექიმმა. — საბედნიეროდ, მძიმე ფორმა არაა.

— რას ამბობთ, ნუთუ? — ვერ შევიკავე თავი დაცინვისგან. — საიდან გაჩნდა?

მოხუცმა მკაცრად თქვა, რომ ზამთარია, ჩინური მედიცინის თანახმად, — „დასვენების დროა“. ხალხმა ცოტა უნდა იმუშაოს — არა უმეტეს 6 საათისა დღეში და განამტკიცოს დამცველი ენერგია „ვეი ცი“. მაგრამ ამას არავინ აკეთებს, ამიტომაა ზამთრობით ამდენი გაციება.

— თქვენ მოგიცვათ „ქარისა და სიცხის ბოროტებამ“, — გულგრილად თქვა ჩინელმა. — ანდა იმან, რასაც „ცხელ გაცივებას“ ვუწოდებთ. საჭიროა სპეციალური ნახარში. დაგვრჩა მხოლოდ კომპონენტების შერჩევა.

ის ქილების პირამიდასთან მივიდა.

— ქრიზანთემის ფურცლები მოგიხსნიან ხველებასა და სურდოს, გარგარის კურკები გაგათავისუფლებენ თავის ტკივილისგან, ძირტკბილის ძირი დაგიგდებთ ტემპერატურას. ბაღის პიტნაც დაგეხმარებათ სიცხის დაწევაში, გამხმარი ოროვანდი შეაჩერებს სისხლის დენას, თუ სისხლძარღვები გასკდება. აი კოჭა — ის საჭიროა ოფლის მოსადენად. დაგვჭირდება ცოტა ბაყაყის კანიც და...

— არა, — მტკიცედ განვაცხადე მე. — მოდით, ამჯერად უბაყაყოდ გავიდეთ.

ექიმმა ხუმ გამაყურა მკაცრი გამოხედვით და დაიწყო წამლის ხარშვა — ქურაზე, ქვაბში, თითქოს წვნიან კერძს ამზადებდესო. ჩინურ მედიცინაში თითოეული ბალახი — განსაკუთრებულ პატივისცემაშია. ადრეულ გაზაფხულზე დაკრეფილი ქრიზანთემის ფურცლები გაცილებით უკეთესია სამკურნალოდ, ვიდრე შემოდგომით დაკრეფილი. კოჭა უნდა ახმო ორი თვე. გარგარი საჭიროა ისეთი, რომელიც ჩრდილში დამწიფდა. ახლა გასაგებია, თუ რატომ იღებენ ადგილობრივი ექიმები ამდენ ფულს. სანამ ამას შეისწავლიდე, შეიძლება გაგიჟდე კაცი.

> **300 დოლარი ექიმთან სამ ვიზიტში**

### გოჭით ბრძოლა დემონებთან

**... წამალი იხარშებოდა დაახლოებით ნახევარი საათი. ყველა სხვა კომპონენტთან ერთად ექიმმა დაუმატა აგრეთვე ცხრატყავა.** მიბრძანა ნახარში მესვა ცხელი დღეში ორჯერ. სხვათა შორის, ჩემთვის გამონაკლისი გააკეთეს. ჩინეთში, ჩვეულებრივად, ექიმი მხოლოდ გაძლევს ბალახს, რომ პაციენტმა ის თავად მოხარშოს.

**წესი № 2.** ავადმყოფობის დროს ჩინელები იცავენ კვების განსაკუთრებულ რეჟიმს. გრიპით გახდი ავად — ყოველდღე უნდა ჭამო წვნიანი კერძი. აი ცხელი ჩაის დალევას გაციებულებს ჩინელები არ ურჩევენ, როგორც ყავასაც: „წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზმი ძალიან აღიგზნება“. არც ტკბილეულის ჭამა შეიძლება. ჩემს სიტყვებს, რომ გრიპს თაფლით მკურნალობენ, გაოცებით შეხვდნენ.

ნახარშის გემო არც ისე საშინელი აღმოჩნდა, როგორც ველოდებოდი. მომწარო იყო, მაგრამ ასატანი. ორი დღის შემდეგ მივედი ხუს ოფისში უკვე უსიცხოდ — იქ მელოდებოდა „საცხის სეანსი“. საცხებსაც ჩინელი ექიმები თავად ამზადებენ: როგორც ნახარშს, თითოეული პაციენტისთვის ადგენენ ინდივიდუალურად. რომ მოეხსნა ხველება და სურდო, ხუ ერთმანეთში ურევდა ლიმონის კანს, წითელ წიწაკას, ზევიდან აყრიდა ზირკავას თესლს და ასხამდა ყველაფერს გოჭის ქონს.

— უნდა დავზილოთ მკერდი, ცხვირი და ყურები, წყნარად ამიხსნა ექიმმა ხუმ, — დღეში ოთხჯერ. ერთი დღე საკმარისია. ავადმყოფობის დემონებს წიწაკის ეშინიათ, ლიმონიც აშინებთ.

— კეთილი, — დავეთანხმე მე და წარმოვიდგინე ლიმონით შეშინებული დემონები. — შემდეგ რა?

— მობრძანდით ხვალ, — მხრები აიჩეჩა ექიმმა, — ვნახოთ.

საცხი შეიზილა ნორმალურად: თუმცა, ცხვირი მეწვოდა ისე, თითქოს შიგნით ნაკვერჩხლები შემიყარესო, თვალები კი ამიცრემლიანდა. გოჭის ქონის ისეთი სუნი იდგა სასტუმროს ნომერში, რომ გამიხარდა კიდეც — დღეს ინტერვიუ შეუძლებელი იყო: ვინ ისურვებდა ჩემთან საუბარს. დანიშნულ დღეს გამოვცხადდი ექიმთან — ის იჯდა და მუჭაში ნემსების გროვა ეჭირა.

— ნემსის ჩხვლეტა — მკურნალობის დასასრულია, — მაცნობა ჩინელმა. — მისი ამოცანაა — კვლავ გაანაწილოს სხეულში „ვეი ცის“ ენერგია, წინააღმდეგ შემთხვევაში დაავადებათა დემონები მალე დაბრუნდებიან.

**წესი № 3.** ჩინეთში მიაჩნიათ, რომ ნემსით ჩხვლეტის წარმატებისთვის უამრავი პირობაა საჭირო. ნემსებით ჩხვლეტენ პაციენტს, ვისაც ექიმმა წინასწარ დაუდგინა სულიერი კონტაქტი: მაგრამ ექიმ ხუს ჩემთან ასე არ გამოუვიდა. ეს ერთგვარი განმინული ტერიტორიაა — თუ „მენაღმე“ ცდება, ავადმყოფობის მდგომარეობა მხოლოდ უარესდება.

თავდაცვამ დემონების წინააღმდეგ ჩაიარა სწრაფად — დაახლოებით 20 წუთში. სამი ნემსი მარცხენა ყურის ბიბილოში, ექვსი ნემსი — ცხვირში, ოთხ-ოთხი — მკერდის წერტილებში. ამით ოფისის კარი ჩემთვის დაიხურა. ქუჩაში რომ გამოვედი, გაოცებით შევნიშნე, რომ თითქმის მთლიანად გამოვჯანმრთელდი. დიახ, დიახ, დამრჩა მხოლოდ ხველება: აი, იმას ექიმმა ხუმ ვერ უშველა.

... სახლში გრიპით ავად ვარ ხოლმე ორი კვირა, ვსვამ უამრავ ფხვნილსა და აბს. აქ კი ფეხზე დავდექი ხუთ დღეში. რატომ? იქნებ დამეხმარა წამლები ბუნებრივი კომპონენტებით, ან იქნებ — კარგი ამინდი — ჰონკონგში მაშინ პლუს 20 გრადუსი იყო. ჩინური მედიცინით მკურნალობა გამოვიდა ეფექტიანი, თუმცა არც უმტკივნეულო — ექიმთან სამი ვიზიტი მე 300 დოლარი დამიჯდა. გავიმეორებ კიდევ ასეთ რამეს? ჯერჯერობით არ ვიცი.

**ვიქტორ მარტივი**



ნემსის ჩხვლეტა — მკურნალობის გვირგვინი

Аргументы Факты

# ფარული კატარაქტა

**დამისვეს დიაგნოზი — „კატარაქტა“ და შემომთავაზეს გამეკეთებინა ოპერაცია. ექიმი მაშინებს დაბრმავების საფრთხით. მაგრამ მე ვხედავ, როგორც ჩვეულებრივად, მხედველობის გაუარესებას ვერ ვგრძნობ. იქნებ, რისკი მაინც გადაჭარბებულია?**

**ბ.გოგუაძე, ქუთაისი**

**გვიპასუხებს უმაღლესი კატეგორიის ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. სიხარულიძე:**

— საჩივრის უქონლობა მხედველობითი ფუნქციების გაუარესებაზე თავისთავად ჯერ კიდევ არ მეტყველებს იმის შესახებ, რომ კატარაქტა არ არის. უბრალოდ, ავადმყოფობა შეიძლება საწყის სტადიაში იმყოფებოდეს და გარკვეულ დრომდე არ ახდენდეს სერიოზულ გავლენას მხედველობაზე. მიუხედავად ამისა, დიაგნოზში ეჭვის დროს მაინც უმჯობესია, გავიაროთ გულდასმითი დიაგნოსტიკური გამოკვლევა სპეციალიზებულ ოფთალმოლოგიურ კლინიკაში. მთავარია, რომ გამოკვლევა სრულდებოდეს თანამედროვე კომპიუტერიზებულ მოწყობილობაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ თვალის რქოვანას ბროლის ბადურის მდგომარეობის ობიექტური სურათი.

რაც შეეხება მხედველობის დაკარგვის რისკს, სამწუხაროდ, ამაში არანაირი გადაჭარბება არ არის. განვითარებული კატარაქტის დროს ბროლი არა მხოლოდ იბინდება, არამედ იზრდება კიდეც მოცულობით (სივდება), რითაც არღვევს თვალისშიგნითა სითხის უკუდენას. ამის შედეგად იზრდება თვალსშიგნითა წნევა და შეიძლება განვითარდეს მეორადი გლაუკომა. ამ შემთხვევაში ხდება მხედველობითი ნერვის ატროფირება და მხედველობა თანდათან უარესდება სრული და შეუქცევადი დაბრმავების დადგომამდე. მხოლოდ ოპერაციას შეუძლია, თავიდან აგვაცილოს მხედველობის დაკარგვა კატარაქტის დროს. ამიტომ მკურნალობის გადადება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

ინფორმაცია

## ათონის მთაზე რუსი იღუმენი არ გაუგზავნიათ

**საქართველოს** საპატრიარქო აფხაზეთში, ახალი ათონის წმინდა სვიმეონ კანანელის სახელობის ტაძრის წინამძღვრად იღუმენ ეფრემის (ვინოგრადოვის) დანიშვნას არ ადასტურებს.

— ჩვენ დავუკავშირდით რუსეთის ეკლესიის საგარეო განყოფილებას და განმარტებები მოვითხოვეთ. რუსეთის ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარემ, მიტროპოლიტმა ილარიონმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან საუბარში ეს ფაქტი უარყო და განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება, — აცხადებენ საქართველოს საპატრიარქოში.

შეგახსენებთ, რომ ახალი ათონის წმინდა სვიმეონ კანანელის სახელობის ტაძრის წინამძღვრად იღუმენ ეფრემის (ვინოგრადოვის) დანიშვნის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს. მისივე ცნობით, იღუმენ ეფრემს ტაძარი სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქმა კირილმა პირადად ჩააბარა.

## „ბათუმი ქარდი“ ტურისტებისთვის

**აჭარის** ტურიზმის დეპარტამენტი ტურისტებს ახალ ტურისტულ პროდუქტს სთავაზობს. „ბათუმი ქარდის“ შეძენას ტურისტები მიმდინარე ტურისტული სეზონიდან შეძლებენ.

„ბათუმი ქარდის“ მფლობელი შეძლებს, უფასოდ იმგზავროს მუნიციპალური ტრანსპორტით, ფასდაკლებით ისარგებლოს სასტუმროებსა და კვების ობიექტებში. ასევე, დაათვალიეროს სხვადასხვა ღირშესანიშნაობები, ბოტანიკური ბაღი და მუზეუმები.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლის გიორგი ბერიძის განცხადებით, ტურისტი ფასდაკლებით ისარგებლებს იმ ობიექტებში, რომელიც „ბათუმი ქარდის“ ბუკლეტზე იქნება დატანილი.

ბერიძის განცხადებით, ტურიზმის დეპარტამენტი მოლაპარაკებებს აწარმოებს კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რათა პროექტში მეტი რესტორანი და სასტუმრო ჩაერთოს, რათა ტურისტს დიდი არჩევანის საშუალება მიეცეს.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენელი ამბობს, რომ პლასტიკური ბარათის ვადიანობა 2, 3, 5 და7-დღიანი იქნება და მაქსიმუმ 15 დოლარი ეღირება. თუმცა პლასტიკური ბარათის ფასი, მის ვადიანობაზე იქნება დამოკიდებული.

## 21 წლის ბიჭმა თავი მოიკლა

**თელავის** რაიონის სოფელ კონდოლში 21 წლის ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს კონდოლის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტმა ლიანა რაზმაძემ განუცხადა, თვითმკვლელობის მიზეზად ოჯახური კონფლიქტი სახელდება.

თვითმკვლელობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას შს თელავის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

ჯი-ეიჩ-ენი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებით იუწყება
ვახტანგ თოფურიას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ.

---

გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებით იუწყება
ვახტანგ თოფურიას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ.

---

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური მწუხარებით იუწყება
ვახტანგ თოფურიას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

---

სს ა. ღვამიჩავას სახ. ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, კოტე ვეფხვაძის სახ. ონკოლოგთა საზოგადოება, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია აბდომინური ქირურგიის კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის და ქირურგის
ბესო მწყერაძის
გარდაცვალებას, უთანაგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს და კოლეგებს.

⊙ დეზოდორის მაგიერ

# სიბინძურის ყულაბა

## როცა პოეტი სიტყვას აუპატიურებს



თქვენი გაზეთი კი წერს, მაგრამ არც პოეტი კოტე ყუბანეიშვილი და არც ინგლისურსახელიანი ქართული გამოცემა WEEKEND (მთავარი რედაქტორი მაია ჭალაგანიძე), როგორც ჩანს, აინუნშიაც არ აგდებენ საზოგადოების აზრს და ჩვეულებრივ განაგრძობენ ბილწსიტყვაობას ხსენებული ყოველკვირეულის ფურცლებზე. მართალი გითხრათ, ასე საჯაროდ თუ სახალისოდ მკითხველის გამასხარავება, არა მგონია, ჩვენ გარდა კიდევ სადმე ხდებოდეს, ხოლო თუ ხდება, ეტყობა, იქაც ჩვენს დღეში არიან...

ფელეტონის ნაცვლად

მხოლოდ სიტყვის გაუპატიურება შეიძლება რომ ეწოდოს იმას, რასაც Weekend-ის ფურცლებზე ყუბანეიშვილი კოტე გვთავაზობს ვითომ პოეზიის ფოლგაში გახვეულს, თანაც ისე, უბრალოდ კი არა, აფორიზმად:

„ცრუ იმედით ცხონების
გადაშენდა ბევრი ერი,
მეც თანდათან ვქველდები,
ვერ გახდები ბედნიერი,
თუ არ გამოყლევდები...“

კი, ბატონო, ამ „აფორიზმის“



ავტორს უკვე ნამდვილად ეტყობა სწორედ ამ მძიმე მდგომარეობაში ყოფნა, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ, მკითხველებმა?! თუმცა წინა ნომერში გამოქვეყნებულ ამ „აფორიზმს“ Weekend-ის ბოლო ნომერში ახალი აზრით ცვლის:

„ვერც რაიმე ჩემ
გარშემო შევცვალე
და ვატყობ, რომ
დავყლევდები
მეც მალე“...

ერთი სიტყვით, ხან უკვე „იმასქმნილია“, ხანაც „გაიმასქნების“ პროცესშია...

ხოლო რაც შეეხება მთელ იმ ბოლმას, რომელსაც პოეტი ასე უხვად ანთხევს და რომელიც თავისი პოეტური სიტყვის გამარჯვების სათავედ ესახება, იგი ასე გამოხატავს:

„და ის, ვისაც
ბავშვობაში მიაჯვეს,
ცხოვრებაში
ბოლმისაგან იმარჯვებს“.

აი, ასე, თავად ფუნისგან გაპატივებული ეს ჩვენი ვილაცვილაცებზე ბოლმამორეული კოტე პოეტი დგას და აუპატიურებს ქართულ სიტყვას, რომელსაც „სვეტური პოეზიის“ სახით თითქმის ყოველ ნომერში გვთავაზობს ქალბატონი მაია ჭალაგანიძის Weekend.

ნუთუ სირცხვილის გრძნობა სულ დავკარგეთ?!.

**მაია სადღობელაშვილი,**
**ქ. თელავი.**

⊙ დაიჯესტი

## პორტრეტის ასლი – დამცირების ფასად

**დანტე ალიგიერის ურიცხვ ფერწერულ პორტრეტს შორის ნაღდად მხოლოდ ორს ცნობენ, რომელიც მისმა მეგობარმა, უდიდესმა მხატვარმა ჯოტომ ფლორენციაში, ერთ-ერთი კაპელის კედელზე დახატა.**



მას შემდეგ საუკუნეები გავიდა, ფლორენციამ დათმო წამყვანი როლი ისტორიასა და ხელოვნებაში, დრომ დაღი ყველაფერს დაასვა. სასახლე, სადაც კაპელა იყო აგებული, საკუჭნაოს მსგავს სათავსოდ გადააკეთეს, დანტეს გამოსახულებიანი ფრესკაც აღარავის ახსოვდა...

მის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ ალაპარაკდნენ, როცა ფლორენციელმა ანტიკვარმა მორენიმ პატარა ბროშურა გამოსცა, სადაც დიდი სინანულით გაამხილა, რომ ორი წლის მანძილზე ამაოდ ცდილობდა იმ ადგილის თუნდაც თვალის შევლების უფლების მოპოვებას, სადაც ცნობილი ფრესკა იყო. იმხანად ფლორენციას ავსტრიელი ერცჰერცოგები მართავდნენ, რომლებსაც დიდი იტალიელი შემოქმედები არაფერში აინტერესებდათ. თუმცა, საზოგადოებრივი ზეწოლით მათ მაინც მოუწიათ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა ფრესკის აღსადგენად. მაგრამ, ფრესკის რესტავრაციის შემდეგ, 1840 წელს, მთავრობამ დანტეს პორტრეტიდან ასლების გადაღება აკრძალა. ინგლისელმა მხატვარმა კირქოფმა, რომელიც სხვებზე მეტად აქტიურობდა პორტრეტის რესტავრაციის საქმეში, მაინც შეძლო აკრძალვის გვერდის ავლა. მან პოლიციელს შეურაცხყოფა მიაყენა და თავი ციხეში ჩაასმევინა, სადაც ცნობილი კაპელა იყო. მხატვარი დარაჯს მოელაპარაკა და დანტეს პორტრეტის ასლი გადაიღო. ეს ამბავი 1850 წელს მოხდა.

## როსკიპთა ტრფიალი, ალკოჰოლის მოყვარული...



**შვედეთში წიგნი გამოსცეს, სადაც მეფე კარლოს XVI მრავალრიცხოვან სექსუალურ თავგადასავალსა და მეძავებთან აღვირახსნილ დრეობებში მონაწილეობის მიღებაშია მხილებული. მიუხედავად იმისა, რომ ცოდვები მონარქს ახალგაზრდობაში აქვს ჩადენილი, მის რეპუტაციას მაინც „წყალი შეუდგა“.**

კაცმა რომ თქვას, მონარქებისთვის რელიგიური მორალი – მთავარი ცხოვრებისეული ნორმაა. ისტორიას არაერთი მაგალითი შემორჩა იმისა, როცა მეფეები არაქმედუნარიანებად ულიარებიათ და მათთვის მეურვეობა – რეგენტობა დაუწესებიათ. მაგალითად, XIX საუკუნეში ბავარიის მეფე ლუდვიგ II, რომელსაც ახლა ზოგიერთ წრეში დიდად მოდური არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია ჰქონდა, თანაც ფულის დიდი მფლანგველი იყო. მას რეგენტად ძმა დაუყენეს. ზოგჯერ მეფეები ტახტზე ნებაყოფლობით ამბობდნენ უარს. ასე მოიქცა ნიდერლანდის წინა დედოფალი იულიანა, რომელმაც ტახტი ქალიშვილს გადასცა.

დასავლეთის წყაროებიდან ცნობილია, რომ სხვა სიკეთესთან ერთად, შვედეთის მეფე კარლოს XVI ალკოჰოლიან სასმელებსაც ეტანება. პრესაში გამოთქვამენ აზრს, რომ აგორებული სექსუალური სკანდალის ვითარებაში მისთვის საუკეთესო გამოსავალია ნებაყოფლობით ტახტის შვილისთვის გადაცემა, რადგან ამნაირი მხილებების შემდეგ სამეფო მოვალეობების ღირსეულად შესრულება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

## გირჩევნიათ რჩევას ყური მიუგდოთ, საქმის ქალბატონებო!



**ამერიკელ ფსიქოლოგთა ერთ-ერთი ბოლოდროინდელი გამოკვლევით დადგინდა, რომ საკუთარ კარიერაზე მზრუნველმა ქალებმა თავი უნდა მოარიდონ შარვლებისა და უფორმო პიჯაკების ტარებას.**

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მამაკაცის კოსტიუმებში გამოწყობილი ქალები უფრო მინიატიურულებად გამოიყურებიან, რაც მათ ავტორიტეტს ამცირებს და ხელს უშლის სამსახურებრივ წინსვლას. ქალბატონებისთვის გაცილებით უფრო მომგებიანია კაბები და ქვედა ბოლოები. სამსახურისთვის საუკეთესო ფერებად მიჩნეულია მუქი და ღია ლურჯი, ჟღალ-ყავისფერი, ხორცისფერი, მუქი ყავისფერი, ნაცრისფერი. ქვედა ბოლოს მაქსიმალურად დასაშვები სიმოკლე – მუხლის ზევით ორი თითია, ხოლო „უვარგის“ ფერებად მიჩნეულია მწვანე, ნარინჯისფერი, მყვირალა წითელი და ყვითელი, მეწამული, ნაზი ცისფერი და ვარდისფერი.

## ყურადღება!

საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის სასწავლო-საგამომცემლო კომპიუტერული ცენტრი აცხადებს **ოპერატორ-დამკაბადონებლის** თანამდებობის დასაკავებლად **კონკურსს.**

მსურველთაგან განაცხადის, აგრეთვე ვინაობისა და განათლების საბუთების მიღება იწარმოებს 2011 წლის 26 აპრილის 16 საათამდე, მისამართზე: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის 47ა, VI სართული, უნივერსიტეტის სამდივნო.

საკონტაქტო ტელეფონები: 31-18-50; 31-14-75.

რექტორატი

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

⊙ კადრი



⊙ ანეკდოტები

– ივან, ამ შაბათს რას აკეთებ?

– ბიჭთან ერთად ბუნებაში გავდივარ. გველს გავუშვებთ ჰაერში. შენ რას აპირებ?

– პრინციპში მეც ასეთივე პროგრამა მაქვს: სიდედრი მიმყავს აეროპორტში.

* * *

– ბაბუ, ახლახან ორმა რუსმა მცემა და ფულიც წამართვა! – შესჩივლა ებრაელმა ბიჭუნამ თავის ბაბუას.

– არა უშავს, შვილო. შვიდჯერ მეტს დაგვიბრუნებენ უკან.

– რანაირად?

– რანაირად და ახლა ისინი ამას აღნიშნა-



ვენ. დათვრებიან. ჩხუბს ატეხენ, თავ-ყბას დაამტვრევენ და კბილებს დააყრევინებენ ერთმანეთს... მერე კი ჩემთან მოვლენ იმ კბილების ჩასასმელად.

* * *

ქალიშვილო! რას ათამაშებთ და სრესთ ამდენ ხანს ხელში მაგ ძეხვს, ყიდვით კი არ ყიდულობთ? იგი ამით არც გამაგრდება და არც სიგრძეში მოიმატებს.

* * *

შევიდა ტიპი ტუალეტში, შარდავს და თან რუსეთის ჰიმნს უსტვენს. მეორე კაბინიდან ვიღაც რუსი ყვირის: „იფ, რა მაგარია, მე რა, ახლა ფეხზე მდგომმა უნდა მოვისაქმო“?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24